პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 3 ოქტომბერი № 228 (18170) ფასი 2 კაპ.

ცვლის აღზრდა: არა არის რა ცხოვრებაში ამაზე უფრო კეთილშობილური მიზანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ალბათ ყველანი დამეთანხმებით, რომ დღეს ჩვენ თვალწინ იშვა კიდევ ერთი შესანიშნავი და ფრიად სასარგებლო ტრადიცია, რომელიც საქართველოს პიონერულ მუშაკთა შეკრების მოწყობასთან არის დაკავშირებული. პიონერული მუშაკი ერთობ ტევადი და მრავლისმეტყველი ცნებაა. პიონერულ მუშაკებს ჩვენ ვუწოდებთ სხვადასხვა ასაკის, სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებსაც აერთიანებთ ერთი მიზანი, საერთო ამოცანა — ზრუნვა ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის, ჩვენი ახალგაზრდა ცვლისათვის, იმისათვის, რომ იგი იდეურად მტკიცე, წოგნიერი და გამრჯე იზრდებოდეს. არა არის რა ცხოვრებაში ამაზე უფრო კეთილშობილური მიზანი, არა არის რა ქვეყნად ამაზე უფრო სპპატიო ამოცანა!

ჩვენ აქამდე საგანგებო შეხვედრები არ გვქონია. თუმცა, ბევრი თქვენგანი გვინახავს და გვისაუბრია საქართველოს კომკავშირის ყრილობებზე, რესპუბლიკის კომკავშირული და სტუდენტური აქტივების კრებებზე, შეგხვედრიგართ ერთმანეთს შრომითს კოლექტივებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში, სხვა ორგანიზაციებში ყოფნისას. ერთი სიტყვით, ჩვენ დიდი ხნის საქმიანი მეგობრობა გვაკავშირებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, ახლანდელ შეხვედრას გარკვეული თვალსაზრისით მაინც ეთქმის, იმიტომ, რომ მან დასაბამი უნდა მისცეს ჩვენი ურთიერთობის ახალ ეტაპს, იმ მუშაობის ახალ ეტაპს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია რომ ეწევა პიონერებისა და მოსწავლეების კომუნისტური აღზრდისათვის.

დღეს ამ დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული და კომკავშირული მუშაკები, პიონერხელმძღვანელები, პედაგოგები, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები — ისინი, ვისაც მივანდეთ ჩვენი პარტიის აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები უბანი — მოზარდი თაობის მაღალ იდეურ და მორალურ-პოლიტიკურ თვისებათა ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ჩვენი კრების მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი პატივცემული სტუმრები — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ა. ვ. ფედულოვა, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ამხანაგი თ. ე. ტტიკალო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხანაგი ვ. ი. კულაევი. ნება მიშოძეთ თქვენი სახელით მხურვალედ და გულითადად მივესალმო მათ.

როგორც ახლო გაცნობის დროს ხდება ხოლმე, ჩვენ ყველანი ყურადღებით ვაკვირდებით ერთმანეთს: ჩვენ, პრეზიდიუმში მსხდომნი, — თქვენ, თქვენ კი ჩვენ. თუმცა, თქვენთვის დარბაზიდან დაკვირვება ალბათ გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენთვის, თქვენ ხომ მეტნი ხართ. მაგრამ, არა უშავს რა, მართალი გითხრათ, მთელი ეს დრო დიდი ყურადღებით გაკვირდებოდით, ძვირფასო ამხანაგებო, შემოგცქეროდით ნათელ, შუბლგახსნილ, ზეშთაგონებულ სახეში, ვხედავდი, რა ცოცხლად რეაგირებდით გამომსვლელთა ყოველ მოსწრებულ სიტყვაზე, ყოველ სწორ აზრზე. გაკვირდებოდით და ვფიქრობდი, რომ ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთისა და შემდგომში უკეთ გავუგებთ ერთმანეთს.

ასეთი შეხვედრებისათვის, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით გულდასმით, ზედმიწევნით ემზადები. პირადად მე, სამწუხაროდ, ამჯერად მესაძლებლობა არა მქონია. მაგრამ მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს შეხვედრები ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ და საპატიო პარტიულ დავალებად მიმაჩნია. ეს სასიამოვნო დავალებაა: თქვენთან ყოფნისას ჭაბუკურად გრძნობ თავს კაცი. და ამასთანავე, ეს ძნელი, ის კი არა, ფრიად რთული დავალებაა, ვინაიდან თქვენ პრინციპული ამხანაგები ხართ და როგორც ყველას, ვისაც ბავშვებთან უხდება მუშაობა, გჩვეულთ მგზნებარება, შემართება, ვერ ეგუებით კომპრომისს, მყისვე უღებთ ხოლმე აღღოს სიტყვაში გამორეულ სიყალბეს.

სწორედ ასეთ განწყობილებას მოველოდით თქვენგან, პიონერული მუშაკებისაგან, და, მართალი გითხრათ, ეს მოლოდინი სრულად გაგვიმართლდა. ჩემი აზრით, ერთობ საინტერესო, საქმიანი, პრინციპული და გულახდილი სჯა-ბაასი გვქონდა. მე მკონი დღევანდელმა განხილვამ დიდი სარგებლობა მოუტანა თითოეულ ჩვენგანს.

როგორია კრების პირველი შთაბეჭდილებები? უწინარეს ყოვლისა, დავრწმუნდით, რომ ჩვენი პიონერული მუშაკები პოლიტიკურად აქტიური, წიგნიერი, შემოქმედებითად მოაზროვნე, გონებაგახსნილი ადამიანები არიან.

ჩვენ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავინახეთ, თუ რაოდენ ერთგულნი ხართ საქმისა, რაოდენ თავდადებით ემსახურებით საზოგადოებას, რომელსაც ღირსეულ მაშულიშვილებს უზრდით. და ბოლოს, ჩვენ კიდევ უფრო განგვიმტკიცდა რწმენა, რომ თქვენ, მართალი პრინციპებისა და სინდის-ნამუსის ადამიანები, მთელი არსებით უეჭერ მხარს ღონისძიებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია რომ ახორციელებენ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დასამკვიდრებლად, სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების, ადამიანთა ცნობიერებაში მეშჩანური გადმონაშთების დასაძლევად, რომ თქვენ აქტიურად ებრძვით ყოველგვარი აღმზრდელობითი საქმიანობის ისეთ უბოროტესსა და საშიშ მტერს, როგორიც ფორმალიზმი და უსულგულობაა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ი. ნ. ორჯონიკიძის მოხსენებაც და გამოსვლებიც გამოირჩეოდა ღრმა შინაარსით, საქმიანი მხარით და კონკრეტულობით, აღიძრა დიდმნიშვნელოვანი და ფრიად საჭირბოროტო საკითხები. უაღრესი გულახდილობა და ლაღი, თამამი სჯა-ბაასი — აი, რა ახასიათებს ყველაზე მეტად, ჩემი აზრით, ჩვენს დღევანდელ კრებას. მე ვფიქრობ, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, განათლების სამინისტრო, სხვა სამინისტროები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უურადღებით შეისწავლიან ყველა შენიშვნასა და წინადადებას, დღეს კ რომ გამოთქვა, გაითვალისწინებენ თავიანთ მუშაობაში და ამომწურავ პასუხს გასცემენ ყოველ წინადადებას.

სწორედ ასეთი გულახდილობის, ყველა პრობლემის განხილვის სწორედ ასეთი დემოკრატიული ხასიათისათვის განგვაწყობს ჩვენი პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები. და მოსაწონია, რომ ეს გადაწყვეტილებანი თქვენ აღიქვით როგორც ნამდვილი მოქმედების სახელმძღვანელო, როგორც კონკრეტული პრაქტიკული პროგრამა, მოსაწონია, რომ სწორედ ამ საფუძველზე წარმართავთ თქვენი მოღვაწეობის სტილს, თქვენს აღმზრდელობას ყველა საზოგადოებრივი პროცესისა და მოვლენისადმი. უაღრესი გულახდილობა, თვითკრიტიკა, პრინციპულობა —ეს უდიდესი მამოძრავებელი ძალა, ჩვენი ზრდის უდიდესი რეზერვი, ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარია.

ჩვენ აქ შესვენების დროს მოვეთათბირეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზოგიერთ წევრს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს და დავსაკვენთ, რომ ურიგო არ იქნებოდა „მოგვემზადებინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

გვიდა, რომ ეს დოკუმენტი არ იყოს ფორმალური აქცია, როგორც სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე. იგი უაღრესად სერიოზულად უნდა მოვამზადოთ. აი, რატომ გთხოვთ ყველას, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მონაწილეებს, და იმათ, ვინც ამ დარბაზში არ არის, მაგრამ ვისაც უშუალო დამოკიდებულება აქვს პიონერულ მუშაობასთან, გთხოვთ რესპუბლიკაში კომკავშირული და პიონერული მოძრაობის ვეტერანებს, ჩვენს მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მუშებსა და სოფლის მშრომელებს,— გაგვიზიართ თქვენი მოსაზრებები. ჩვენ გვჭირდება კონკრეტული წინადადებანი იმის თაობაზე, თუ როგორ გარდავქმნათ ეფექტიანად რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგებათა და მითითებათა შესაბამისად.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ თქვენთან ერთად შემუშავებულ ღონისძიებებს, მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განვიხილავთ, ჩვენ დავამტკიცებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ანუ ყველა გადაწყვეტილებას თითოეული კომუნისტისათვის სავალდებულო პარტიული კანონის ძალას მივანიჭებთ.

მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ახლა ჩვენი რესპუბლიკა, მისი პარტიული ორგანიზაცია აღმავლობის გზას ადგანან. საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისევე როგორც მეთერთმეტე ხუთწლედში, დღესაც სწრაფი ტემპი ახასიათებს. ასრულებენ რა პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი მშრომელები წარმატებით ანაღდებენ გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებში.

ჩვენ ფრთას გვასხამს XXVI ყრილობის მაღალი შეფასება, უდიდესი ნდობა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს უწევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ლენინური პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მუდამ რომ გვიდგას მხარში ყველა ჩვენს საჭირო, საინტერესო საქმეში, თითოეულ სასარგებლო თაოსნობაში.

დიდხანს გვეხსომება საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებული ამბები. დაუვიწყარ მოგონებად დაგვრჩა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან, რომელიც ჩვენს დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა, ჩვენ გვახსოვს, ყოველ ჩვენგანს ახსოვს საზეიმო სხდომა, რომელზეც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა შესანიშნავი, გულში ჩამწვდომი სიტყვა, აღნიშნა ჩვენი მიღწევები და უურადღება მიაპყრო ჩვენს ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით დაგვახსომდა სადღესასწაულო დემონსტრაცია კონსტიტუციის მოედანზე, სადაც მშრომელები ძალიან გულთბილად მიესალმებოდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებს, ყველა მოძმე მეზობელი რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

და ყველან, ყველაფერში, ყველა პოლიტიკური და კულტურული მოვლენის შუაგულში ტრიალებდნენ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები, ჩვენი პიონერები და მოსწავლეები. სწორედ მათ შემატეს ვარდობისთვის ლაზთი ჩვენს იუბილეს, მიანიჭეს განსაკუთრებული ეში. მაინც, რაოდენ ამაღლებული და მგზნებარე იყო ახალგაზრდობის ყოველი გამოსვლა, რაოდენ საზეიმოდ გაისმა და ღრმად ჩაგვწვდა გულში ჩვენი ახალგაზრდობის ფიცი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულების ფიცი, მართლაც-და, რა დიდებული სანახავი იყო პიონერთა და მოსწავლეთა მწყობრი კოლონები სადღესასწაულო დემონსტრაციაზე. ჩვენი ნორჩი თაობა ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზეიმო წარმოდგენაში, სადღესასწაულო კონცერტში, სხვა ღონისძიებებში. და ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რაოდენ დიდი შრომა და ენერგია, სულისა და გულის მგზნებარება ჩაქსოვეს ამ საქმეს ჩვენმა პიონერხელმძღვანელებმა და პედაგოგებმა, სკოლების დირექტორებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებების, პიონერთა და მოსწავლეთა სახლების აღმზრდელებმა, ბავშვთა შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელებმა, კომკავშირულმა აქტივისტებმა, პიონერული ორგანიზაციების საბჭოების წევრებმა და სხვა ამხანაგებმა. ღაონიდ ილიას ძე თქვენც, პიონერულ მუშაკებსაც გგულისხმობდათ, როცა თქვა, დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა, იუბილე ღირსეულად გადაიხადეთო. დიდი მადლობა თქვენდა ამისათვის!

ის, რომ ჩვენი ნორჩი თაობა მუდამ უველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენების შუაგულში ტრიალებს, ჩვენს ქვეყანაში აღმზრდელობითი პროცესის მთავარი ლოგიკის გამოხატულებაა. ბავშვები ჩვენი საზოგადოების მართლაც სრულფასოვანი და ყველაზე პატივცემული წევრები, სოციალიზმის პირობებში ერთადერთი პრივილეგიური კლასია. მათთვის ვიღვწით, მათთვის გვინდა ყოველივე ძვირფასი, რაც კი რამ გვაბადია, მათ ვანდობთ ჩვენს ოცნებასა და გეგმებს, ჩვენს სანუკვარ მისწრაფებებს. ყველგან და ყველაფერში ნორჩი თაობისადმი ჩვენს დამოკიდებულებას განსაზღვრავს უდიადესი ლენინური პრინციპი „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“

ბავშვები ჩვენი მერმისი, ჩვენი ნათელი მომავალია. და ეს მომავალი — სამედო ხელში უნდა იყოს, მას მივანდობთ მხოლოდ იმათ, ვისაც უსაზღვროდ გჯერა. ასეთ მაღალ ნდობას გაკისრებთ პარტია თქვენც, ჩვენი ნორჩი თაობის პოლიტიკურ წინამძღოლებს. ლ. ი. ბრეჟნევმა ერთხელ ძალზე ზუსტად შენიშნა: „პიონერებთან მუშაობა რთული, სარუდუნო, უაღრესად პასუხსაგები საქმეა, რომელიც მოითხოვს მაღალ პედაგოგიურ ოსტატობას, ღრმა ცოდნას, დიდსულოვნებას და გულის სიმხურვალეს“.

სწორედ ასეთი იშვიათი სულიერი თვისებები უნდა ჰქონდეს მომადლებული ყოველ პიონერულ მუშაკს, რომელსაც ჩვენ სამართლიანად მივიჩნევთ იდეოლოგიური ფრონტის აქტიურ მებრძოლად. ბავშვებთან მხოლოდ მოწოდებით შეიძლება იმუშაოთ, ხოლო თქვენ მარტოოდენ კი არ მუშაობთ, არამედ სულდგმულობთ თქვენი აღსაზრდელების ინტერესებით, საზრუნავ-საფიქრალით. მომადლებული უნდა გქონდეს უდიდესი ნიჭი, სწორედ ნიჭი, ულვი სიკეთე, რომ ფაქიზად აღიქვა ბავშვის განწყობილება, მიაგნო იმ ერთადერთ გზას, რომელსაც მისი გულისაკენ მიჰყავხარ, რომ შეძლო აღანთო იგი, გაუღვივო ფანტაზია პატარა, წითელყელსახვევიან პიონერშვილს, ჩაადონო მას კეთილი, ამაღლებული გრძნობები და სპეტაკი აზრები.

აი რად გვიდა, ყოველ იმათგანში, ვინც ამ უდიდეს და უაღრესად პასუხსაგებ სამუშაოსთან არის წელსაყარი ვხედავდეთ ისეთ თვისებებს, როგორიც არის მაღალიდეურობა და პრინციპულობა, ზნეობრივი სიწმინდე, საყვარელი საქმის ერთგულება, პატიოსნება, სიკეთე და გულისხმიერება, უნარი — აღენთებოდე ახალი იდეით, მუშაობდე ჭაბუკური გზნებითა და შემართით. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ სამაგალითონი კომუნისტური საზოგადოების მომავალი მოქალაქეებისათვის, მუდამ ედგნენ მხარში ჩვენს ბავშვებს.

ამასთანავე, და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, პიონერული მუშაკი უნდა იყოს იდეურად მტკიცე პიროვნება, ზედმიწევნით ფლობდეს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას, შეეძლოს პარტიული პოზიციიდან სწორად და საღად შეაფასოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები და ფაქტები. იგი უნდა იყოს შეურიგებელი ყოველგვარი ნაკლის მიმართ, დაბეჯითებით მუშაობდეს საკუთარ თავზე, ეუფლებოდეს ხელმძღვანელობის ლენინურ სტილს.

ჩვენს კრებაზე ბევრი ამხანაგის გამოსვლამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანოები, განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ორგანოები იღვწიან, რათა ჩვენს პიონერულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ სწორედ ასეთი ადამიანები — პატიოსანი მუშაკები, რომლებსაც მომადლებული აქვთ მაღალი მორალური თვისებები და მგზნებარე გული, ნამდვილად უყვართ ბავშვები. სწორედ ამიტომ დღევანდელი გაცნობა უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ და გავფართოებთ ერთმანეთთან კონტაქტებს. რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა უფრო სერიოზულად და კონკრეტულად უნდა იმუშაონ პიონერული ასაკის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე. ეს ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრ ნაწარმოო-ტექნიკური პოტენციალი აქვს. ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მანქანათმშენებლების — მაღალკვალიფიციური ტექნიკოსების, ინჟინრებისა და ხელოვნური ... კადრების მრავალმილიონიანი კოლექტივი. პარტია და მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკის ამ საკვანძო დარგის განვითარებას. ტექნიკის გამოშვების ტემპის დაჩქარება, მისი სრულყოფა და განახლება წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების ძირეულ პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელი წინამძღვარია.

სკკპ XXVI ყრილობამ მანქანათმშენებლებს მიზნად დაუსახა ახალი ტექნიკის შემუშავების ყოველნაირად დაჩქარება, მოუწოდა მათ დაუყოვნებლივ აითვისონ, მაღალ ეფექტიან, საიმედო მანქანებად, ხელსაწყოებად, ტექნოლოგიურ ხაზებად აქციონ მოწინავე მეცნიერული და ინჟინრული აზრი.

„უნდა აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც აძნელებს, აყოვნებს, მტკივნეულს ხდის დანერგვის პროცესს, — თქვა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — წარმოება საარსებოდ უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ აითვისოს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ნააზრევი, შრომის ნაყოფი, ამ ამოცანის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ არის, მოითხოვს დრომოჭმული ჩვეულებისა და მაჩვენებლების მსხვრევას. მაგრამ იგი უაღრესად საჭიროა ქვეყნისათვის, ხალხისათვის, ჩვენი მომავლისათვის“.

შეიძლება ბევრი ისეთი ფაქტის დასახელება, როცა უნარიანად იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქში კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების რეალიზაციის ეფექტმა განვლილი ხუთწლედის მანძილზე 1,6 მილიარდი მანეთი შეადგინა, პირობითად გამოთავისუფლდა 99 ათასი მომუშავე. მნიშვნელოვან უკუგებას იძლევა მაღალეფექტიანი, მასალებისა და ენერგიის დამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენება. მაგალითად, საბჭოთა კავშირის მეტალურგიის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის, სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, შავი მეტალურგიის სამინისტროთა ქვეგანაყოფების მიერ განხორციელებულმა დეტალსაგლინი დგანების შემუშავება-დანერგვამ ათობით და მეტჯერ შეამცირა შრომითი და მატერიალური დანახარჯები ვაგონების ღერძებისა და თვლების, ხიდსაშენებელ ამწეთა საგორავების, ლითონტევადი ნაწარმის სხვა ნამზადის წარმოებაში.

ჩვენი ინდუსტრია რიცხვული პროგრამული მართვის, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის მქონე სულ უფრო მეტ ჩარხს უშვებს. ათვისებულია და უმჯობესდება სამრეწველო რობოტების წარმოება. შეხამჩნევი ცვლილებები მოხდა მანქანათმშენებლობის მანამდე ისეთ ჩამორჩენილ ქვედარგში, როგორიც ამწე-სატრანსპორტო, დასატვირთ-გადმოსატვირთი და სასაწყობო სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა წარმოებაა. გასულილ ხუთწლედში აქ მანქანებად და აგრეგატებად იქცა კონსტრუქტორთა ნაშრომების 85 პროცენტი, მოგვარდა 145 ახალი სახეობის მოწყობილობის ხელიული გამოშვება. ამოცანა ის არის, რომ მანქანათმშენებლობის უკლებლივ ყველა დარგში უზრუნველყოფილ ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლება, მყარი ბაზა შეეფუძნოს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ინდუსტრიის საწარმოთა ძირითადი საწარმო ფონდების ტექნიკური დონის ამაღლება და მათი სტრუქტურის გაუმჯობესება კარგ შესაძლებლობებს სახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალპროდუქტიანი ნაწარმის გამოსაშვებად. ზარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი ტექნიკის წარმოების საერთო მოცულობაში განვლილი ხუთწლეულის მანძილზე თითქმის ერთი-ორად გაიზარდა და შარშან 36 პროცენტი შეადგინა.

ამასთანავე მანქანათმშენებლობის ჯერ კიდევ ბევრი ნაწარმი იწვევს მომხმარებელთა სამართლიან საყვედურს, ზოგჯერ ნელა ინერგება პერსპექტიული სიახლეთა სერიული წარმოება. მანქანათსაშენებელი დარგების შტაბები, პარტიული ორგანიზაციები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ საკითხებს.

პირობები, რომლებშიც განვითარდება ქვეყნის სახალხო მეურნეობა ოთხმოცდაერ წლებში, კიდევ უფრო საჭიროს ხდის ტექნიკური პროგრესის ყოველნაირად დაჩქარებას. ახალი ტექნიკა უნდა უზრუნველყოფდეს ხარჯების შემცირებას და ცოცხალი შრომის ნაყოფიერების ზრდას. ნაწარმის თვითღირებულების, ნედლეულის, მასალებისა და ენერგიის ხარჯვის შემცირებას საბოლოო პროდუქციის ერთეულზე. ეს საჭიროს ხდის მეცნიერებისა და წარმოების კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა განვითარებას. ისინი, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის პერსპექტიულ ფორმად იქცევიან. ამგვარად გაერთიანებათაგან საუკეთესონი ერთნახევარჯერ აჩქარებენ სიახლეთა ათვისების პროცესს, საშუალოდ 20-30 პროცენტით ამაღლებენ მათს ეფექტიანობას. უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ მოწინავე კოლექტივების გამოცდილება, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ დარგებში ასეთი გაერთიანებანი თავიანთ შესაძლებლობებზე უარესად მუშაობენ, ხუსტი სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ბაზა აქვთ. მაგალითად, კვების მრეწველობაში შარშანდელი ნაშრომების მხოლოდ ორი პროცენტი ხვრდნის ხაუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთული ანალოგებს.

საბწუხაროდ, ახალი ტექნიკის შემუშავებისა და ათვისებას გეგმა დღემდე არ გამხდარა კოლექტივებისათვის ისეთივე უცილობელი კანონი, როგორიც წარმოების გეგმაა. ხდება ხოლმე, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები წარმატებით აბარებენ ისეთ სიახლეთა ათვისების ანგარიშს, რომლებიც ცოტა რამით განსხვავდება წინანდელი პროდუქციისაგან. დამგეგმავმა ორგანოებმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უფრო ზუსტად უნდა განსაზღვრონ ახალი ტექნიკის შესაფასებელი კრიტერიუმები, მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა კი განსაკუთრებული კონტროლი დაწესონ ნამუშევართა ეფექტიანობის ამაღლებას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებულია ამაღლდეს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამათა შესრულების დავალებათა როლი, მათ შორის ახლად ამოქმედებულ ობიექტებზე. გეგმებში აისახება უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ტექნიკური დონის ძირითადი მაჩვენებლებიც. სამინისტროებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი იქმნება. დაგეგმვის ობიექტი ხდება სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული ეკონომიური ეფექტიც. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად იზრდება პროგნოზის, თითოეული სიახლის რეალური უკუგების ყოველმხრივი აღრიცხვის მნიშვნელობა.

სამინისტროებისა და გაერთიანებების, ინსტიტუტებისა და საწარმოების პარტიულ კომიტეტებს ნიადაგ მხედველობის არეში უნდა ჰქონდეთ ახალი ტექნიკის შემუშავება-დანერგვის საკითხები. უნდა ქმნიდნენ კოლექტივებში ნამდვილი შემოქმედების, უძრაობისადმი შეუწყნარებლობის ვითარებას. კომუნისტების ვალია ყოველ დარგში, ყველა საწარმოში უფრო ფართოდ გაშალონ სპეციალისტებისა და მუშების კომპლექსური შეჯიბრება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ამ საფუძველზე პროდუქციის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ОГОНЬОК
„პრავდის“ 2/X მოწინავე

პარტიის გეგმეგი—ხალხის გეგმეგია

„80-იანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისში საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების მიხედვით“ — ამ თემაზე რესპუბლიკის დედაქალაქის იდეოლოგიური აქტივისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვებს.

პირველ კითხვაზე, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში, მოხსენება „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

კითხვებს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ე. კ. შარტავა. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის IV პლენუმის ფინ

ახალი ტექნიკის ეფექტიანობა

...

ЗА ПРАВДУ

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ... ცენტრალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმზე წამოთქმულმა ბრძნულმა, გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა, მისმა ფაქიზ-დარიგებამ და რეკომენდაციებმა ძალა შეგვმატა, ფრთა შეასხა ჩვენ წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების უუფო გადაწყვეტისათვის.

„რესპუბლიკაში უნდა განხორციელდეს ენერგიული ღონისძიებანი მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების ზრდის უზრუველყოფისათვის, წველადობისა და პირუტყვის წონამატების გაზრდისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მტკიცე საკვებ ბაზის შექმნას“. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებებმა თეთრი წყაროს რაიონისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელთა ენერგიასა და ენთუზიაზმს ახალი მძლავრი ბიძგი მოუზღვევები გამოიწვია.

საკმის ვითარების გულდასმით ანალიზების შედეგად ცხადი ხდება, რომ თეთრი წყაროს რაიონში ჯერ კიდევ არ იყენებენ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ყველა რეზერვს, საკვები ბაზის განმტკიცებისა და ჯოგის ეფექტიანობრივი შემადგენლობის გაუ-

წარმატებით გამოვაზამთროთ პირუტყვი!

თეთრი წყაროს რაიონის მეცხოველეთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მეცხოველეს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ... ცენტრალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმზე წამოთქმულმა ბრძნულმა, გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა, მისმა ფაქიზ-დარიგებამ და რეკომენდაციებმა ძალა შეგვმატა, ფრთა შეასხა ჩვენ წინაშე მდგომი პ

ცვლის აღზრდა: არა არის რა ცხოვრებაში ამაზე უფრო კეთილშობილური მიზანი

(დასასრული)

კითხებზე, კერძოდ, უფრო საგნობრივად უნდა უხელმძღვანელონ კომკავშირულ ორგანიზაციებს პიონერული მუშაობის გაძღოლის გაუმჯობესებლად, ჩაბან ამ საქმეში საზოგადოებრიობის ფართო მასები, საწარმოო, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციები. ეს უპირველესი პარტიული სამუშაოა.

ნორჩ ლენინელებთან მუშაობა შრომელთა კომუნისტური აღზრდის იმ ვრცელი პროგრამის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სკკპ XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით არის დასახული და რომლებსაც საფუძვლად უდევს აღზრდის მთელი საქმისადმი ერთიანი კომპლექსური მიდგომა, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა დიდად აფასებენ ჩვენი პიონერული ორგანიზაციის საქმიანობას. პიონერული რაზმების საკავშირო მარშში, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილების მოხახულებაში შრომისა და დასვენების ბანაკებსა და შრომთს ბრიგადებში, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში, ჯართის შეგროვებაში, ჩაის, ყურძნის, ხილის კრეფასა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა — ყოველივე ეს მოზარდი თაობის პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი წრთობის საუცხოო სკოლაა.

ასე შეაგროვეს პიონერულ ორწლედში ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა ლენინელებმა ათასობით ტონა ჯართი, ასე დაამზადეს ათასობით ტონა საკვები, ჩაი და სხვა კულტურები. და ამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს მუშაობა ჩვენი ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარების კიდევ ერთი რეზერვია. ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ზრდის რეზერვი. ყმაწვილები ეზიარებიან შრომას, სწავლობენ საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას. საზოგადოებრივი ინტერესების თავისად მიჩნევას, საზოგადოებრივი კატეგორიებით აზროვნებას.

რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის უცნობი გმირების ძიებაში, საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობისა და გმირობის ამსახველი ახალი დოკუმენტების მოკვლევაში მონაწილეობისას ჩვენს ბავშვებს კიდევ უფრო მხურვალედ უყვარდებათ სამშობლო, მშობელი ხალხი, ინტერესი უმძაფრდებათ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიისადმი, კიდევ უფრო ერთგულნი ხდებიან სოციალიზმის იდეებისა.

ახლა, ამხანაგებო, განსაკუთრებით საჭიროა გავააქტიუროთ მთელი ეს მუშაობა, მივანიჭოთ მას მეტი მიზანდასახულობა, მიზანსწრაფულობა. ჩვენი პიონერია მომავალი წლის მაისში ხომ თავის სამოც წლის თავს აღნიშნავს.

ეს თარიღი ყველაზე ნათელ, წმინდა გრძნობებს აღუძრავს თითოეულ ჩვენგანს. ეს, მართლაც რომ, საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იქნება. ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის იუბილე ნაწილია ჩვენი გმირული ისტორიისა, ნაწილია ჩვენი შესანიშნავი ბიოგრაფიისა, ნაწილია ჩვენი ბედისა.

თავიანთ იუბილეს ნორჩი ლენინელები ეგებებიან შესანიშნავი დევიზით „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ ახლა ჩვენ ყველა სასკოლო პიონერული ორგანიზაციის ამოცანად უნდა დავუსახოთ — გადააქციონ იუბილეს სამზადისი აღზრდის დარგში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ჭეშმარიტ დათვალიერებად, აზიარონ ნორჩი ლენინელები ჩვენი ცხოვრების იდეურ-პოლიტიკურ მაჯისცემას.

პიონერის მთავარი მოვალეობაა ისწავლოს, იშრომოს და იბრძოლოს ლენინურად, კომუნისტურად. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ საშუალო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები მომავალი მოქალაქის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების ნამდვილ კერებად იქცნენ ეს კი ფრიად ძნელი საქმეა. და აქ ჩვენ — პარტიულ, კომკავშირულ, პიონერულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვრჩება მუშაობაში. საჭიროა ვეძებოთ მუშაობის სადა და ამასთანავე ქმედითი ფორმები და მეთოდები. ჩვენი პარტიის პოლიტიკის დიდი ცნებები ბავშვმა, მოზარდმა უნდა აღიქვას მისაწვდომი ინტერესების პრიზმის, ყოველივე იმის მეშვეობით, რაც ახლოგელი და გასაგებია მისთვის. სწორედ ეს არის პედაგოგიური ოსტატობის საიდუმლო, პიონერებთან და ოქტომბრელებთან პროპაგანდისტული მუშაობის სპეციფიკა.

აღმზრდელისა და აღსაზრდელის ცოცხალ ურთიერთობაში მთავარია გულწრფელობა. გულწრფელობა ყველგან და ყველფერში— ბავშვის გულწრფელი სიყვარული, გულწრფელი რწმენა სიმართლისა და სიკეთის იდეალებისა, გულწრფელი სურვილი — ხედავდე ყოველ ადამიანში ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეს. სწორედ პიონერული ორგანიზაციის შემწეობით ვახორციელებთ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის პროცესს. და ძალზე საჭიროა, ამხანაგებო, რომ ყოველმა ოქტომბრელმა და პიონერმა პატარამბიდანვე შეითვისოს და შეისისხლხორცოს ჩვენი მაღალი ზნეობრივი დებულებები, რამეთუ ზნეობის საფუძველი ბავშვობის ასაკშივე იყრება.

ოქტომბრელთა ვარსკვლავი, პიონერთა რაზმი — აი პირველი ორგანიზაციული უჯრედები, სადაც ბავშვი პირველად უშუალოდ, პრაქტიკულად აწყდება სოციალისტური ცხოვრების წესის მთავარ კანონს — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!“ პიონერული ორგანიზაცია — ეს კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრიობის აღზრდის სკოლაა. მაგრამ ამ თვისებების ჩამომყალიბებელს თავად უნდა ჰქონდეს ისინი, გამოირჩეოდეს უდიდესი პედაგოგიური ტაქტით, მე ვიტყოდი, პედაგოგიური ნიჭით.

კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული: ძხოლოდ ნამდვილი დამოუკიდებლობა წარმოშობს ჭეშმარიტ პასუხისმგებლობას. პიონერთა და მოსწავლეთა დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედების, სასკოლო დემოკრატიის, სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პრობლემა —ეს ფრიად რთული პედაგოგიური, სახელმწიფოებრივი ამოცანებია. მათი გადაწყვეტისას უაღრესი სიფრთხილე და წინდახედულობა გვჭირდება. აქ განსაკუთრებით გვმართებს ზომიერების დაცვა.

უდავოა, მოზარდზე მუდამ უნდა გვეჭიროს თვალი, ნიადაგ წარვმართოთ და სწორად გამოვაყენებინოთ მოზღვავებული ენერგია. მაგრამ აქაც უდიდესი ტაქტი, უაღრესი სიფრთხილე გვმართებს. მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ საბოლოო ანგარიშით თვით ყმაწვილს გამოვაჭენინოთ ინიციატივა. ეს ჩაუსახავს საკუთარი ძალების რწმენას, გაუძლიერებს აქტიურობას, გაუცხოველებს ინტერესს, დაგვეხმარება განვუვითაროთ ბავშვებს შემოქმედებითი საწყისი.

აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ურთიერთობა დამყარდება პიონერულ რაზმსა და კლასის ხელმძღვანელს, სკოლის პიონერულ ორგანიზაციასა და მის პედაგოგიურ კოლექტივს შორის. ამასთან განსაკუთრებით საჭიროა განვასხვავებულოთ შეგნებული სწავლებისა და აღზრდის პრინციპი, რომელიც დღეს წარმატებული აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანეს პირობად უნდა მივიჩნიოთ.

თუ მოზარდის მაგივრად გადავეჭირით მისი გადასაჭრელი პრობლემები, თუ მხოლოდ იმის უფლება დავუტოვეთ, რომ თანხმობის ნიშნად თავი გვიკანკტუროს, მაშინ ფუჭად წაგვივა მთელი ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობა. პირდაპირ უნდა გითხრათ: ბევრი ჩვენი მოზარდი, გოგონა და ბიჭუკი ისე ეჩვევა შუდმივ მეურვეობას სოლაში, პიონერულ რაზმში, ოჯახში, რომ მერე უკვე ბზა-კვალი ებნევა, ვეღარ მოქმედებს დამოუკიდებლად, ვერ გაუფრთოვია თვალსაწიერი, ვერ მუშაობს წიგნზე. ალბათ, მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ხშირად მშობლები ძალზე ნიჭიერ ბავშვებსაც კი ამეცადინებენ რეპეტიტორებთან. რატომ? იმიტომ, რომ ბევრ ჩვენს ბავშვს, სამწუხაროდ, არ შეუძლია თვითონ იმეცადინოს, არ შეუძლია თვითონ, დამოუკიდებლად იაზროვნოს, დაეჩვია, რომ ვიღაც სხვა უსახავდეს მიზნებსა და ამოცანებს. არის ასეთი სენი.

აკი ამიტომაც მოგახსენებთ: მომავალმა მოქალაქემ სკოლაშივე, უწინარეს ყოვლისა, პიონერულ ორგანიზაციაშივე უნდა შეიძინოს დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებითი ჩვევები, ისწავლოს გადაწყვეტილების მიღება, შეეძლოს აგოს პასუხი მიღებული გადაწყვეტილებისათვის. სწორედ პიონერობისას ეძლევა მოზარდს შესაძლებლობა პირველად გამოავლინოს ორგანიზატორული ნიჭი. და ჩვენ ვიცით, რომ პატარა „ყორეზისაგან“ დამდგარა ბევრი რიგიანი ლიდერი კოლექტივისა, საუცხოო ხელმძღვანელი. და იმისათვის, რომ ბავშვმა კი არ დაკარგოს, არამედ, პირიქით, განვითაროს ორგანიზატორული ნიჭი, სწორედ ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, პატივცემულო ამხანაგებო, პიონერულო მუშაკებო.

პიონერული ორგანიზაცია — ეს არის არა ორგანიზაცია ბავშვებისათვის, არამედ ბავშვთა ორგანიზაცია. აქ მოქმედებს ზუსტი საწესდებო მოთხოვნები. თავისი კანონები. და მათ, პიონერული ორგანიზაციის ამ შინაგან კანონებს, ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, დიდმა თუ პატარამ. ეს კი ძალიან ხშირად გვავიწყდება. პიონერული მუშაობა მომავალ მოქალაქეებს უნდა ასწავლიდეს გამოიყენონ სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობანი, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტები, მოქალაქეთა უფლებათა-თავისუფლებანი და, ამავე დროს, გაუხარელად ასრულებდეს თავის მოვალეობას ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის წინაშე. სკოლაშივე უნდა ვიწყებდეთ ამ მუშაობას.

ვისწავლოთ კომუნიზმი, გაისარჯოთ კომუნიზმის საკეთილდღეოდ, ვიბრძოლოთ მისი ნათელი იდეალებისათვის — ამ თვისებებს ნიადაგ შეუპოვრად უნდა ვუნერგავდეთ ჩვენს ნორჩ თაობას.

უწინარეს ყოვლისა, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ საშუალო სკოლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატების გაუმჯობესებას. ეს ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩვენი აზრით, ამ საქმეში დღესდღეობით აშკარად არ არის საკმარისი პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი. ჩვენ ბავშვობიდანვე გვახსოვს დევიზი „პიონერი ყველა ბავშვისათვის სამაგალითო უნდა იყოს!“, აბა, რა მაგალითი უნდა მისცეს თავის ამხანაგებს პიონერმა, რომელიც ცუდად სწავლობს? რამდენად პრინციპულია ეს? უნდა გვახსოვდეს, რომ აღზრდის პროცესი ბეჯითი სწავლით იწყება. სამწუხაროდ, ესეც ხშირად გვავიწყდება.

პიონერულ მუშაკებზე დიდად არის დამოკიდებული საშუალო სკოლაში წარმატებული შრომითი აღზრდა, მოსწავლეთა მარჯვე პროფესიული ორიენტაცია. საგრძნობი ძვრების მიუხედავად, ჩვენ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს. ჩვენი აზრით, ჯერჯერობით სუსტია სკოლების პიონერული ორგანიზაციების კავშირი შრომითს კოლექტივებთან. სამწუხაროდ, ჩვენი ბევრი შრომითი კოლექტივიც, მათი ხელმძღვანელები, პატრონგანიზაციათა მდივნები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ.

მუშათა კოლექტივთან, მუშათა კლასთან ურთიერთობა სასიკეთო გავლენას ახდენს პატარა მოქალაქეების ცხოვრებისეული პოზიციის, ცხოვრებისეული იდეალების ჩამოყალიბებაზე. და როდესაც აუცილებელია, რომ მოზარდის ფსიქოლოგია თავიდანვე ყალიბდებოდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე რევოლუციური, ყველაზე მოწინავე კლასის ზნეობრივი თვისებების გავლენით!

მახსოვს, თავის დროზე რესპუბლიკის კომკავშირმა წამოაყენა ლოზუნგი „ყოველ პიონერულ რაზმს უნდა ჰყავდეს პიონერხელმძღვანელი წარმოებიდან!“ ხომ გკონდათ ასეთი ლოზუნგი? რატომ დავიწყეთ იგი? როგორც ჩვენს კრებაზე ითქვა, შედეგები აქ ჯერჯერობით უმნიშვნელოა. არადა, ეს უდავოდ კარგი, საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა.

მეტს მოველით აგრეთვე სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაკებისაგან. მათ აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა მოზარდთა ესთეტიკური აღზრდისათვის, მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებაში, ფიზკულტურასა და სპორტში მათი ჩაბმისათვის. ყოველივე ეს უაღრესად საჭიროა ახალი ადამიანის ჰარმონიული აღზრდისათვის, რომელმაც XXI საუკუნეში უნდა იცხოვროს და იღვაწოს!

უდიდეს მუშაობას ეწევიან თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელიც მალე თავის მე-40 წლისთავს აღნიშნავს, რაზეც შესანიშნავად ილაპარაკა მისმა დირექტორმა თ. ჟღენტმა, აგრეთვე ქუთაისისა და ბათუმის პიონერთა სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური, სხვა აღმზრდელობითი დაწესებულებების კოლექტივები. მათი დადებითი გამოცდილება უკეთ უნდა განვაზოგადოთ და ფართოდ გავავრცელოთ მთელ რესპუბლიკაში. ეს არა მარტო კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების, არამედ აგრეთვე პარტიული კომიტეტების, მათ შორის ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ამოცანაა.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მოსაფიქრებელი გვაქვს ამგვარ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხები. მათგან საუკეთესოსისაც კი ხშირად ბევრი ელემენტარული რამ აკლიათ. ეტყობა, ამ საქმეში არსებითი დახმარება უნდა გაგვიწიონ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა. ვფიქრობ, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, განათლების სამინისტრო, სხვა რესპუბლიკური ორგანოები საგანგებოდ შეისწავლიან ამ საკითხს და შესაბამის წინადადებებს წამოაყენებენ. ჩვენ-ღათავად კი გპირდებით აქტიურ პარტიულ მხარდაჭერას.

ბევრი ნაკლი გვაქვს პიონერული ასაკის მოსწავლეების ფიზიკური აღზრდის საქმეშიც. ამაზე შეშფოთებით ილაპარაკა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. კვეჭაძემ. ფიზიკური წრთობა, როგორც ცნობილია, მოზარდის ჰარმონიული განვითარების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ბავშვს უკაყვებს ჯანმრთელობას, მატებს ძალას, უმტკიცებს ნებისყოფას, ეხმარება ცოდნის უკეთ აღქმაში. შემთხვევითი როდი იყო, რომ ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღეს ამ საკითხზე. ჩვენ ყოველნაირად უნდა გავაუმჯობესოთ ფიზიკური კულტურის დაყენების საქმე როგორც უშუალოდ სკოლებში, ისე სპეციალიზებულ ორგანიზაციებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პიონერთა ბანაკებში, სანატორიუმებსა და სხვა საბავშვო საკურორტო დაწესებულებებში საზაფხულო დასვენების დროს.

ნიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური აღზრდას უშუალო დამოკიდებულება აქვს ერის, ხალხის ჯანმრთელობასთან, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობასთან. რაც უფრო ძლიერია ფიზიკურად ჯანუკი, მით უფრო უადვილდება შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახური, მით უფრო კარგად არის მომზადებული იგი სოციალისტური წყობილების მონაპოვართა დასაცავად.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ფიზიკურ აღზრდას უფრო მჭიდროდ უნდა ვუკავშირებდეთ უშუალოდ მოზარდებთან და მოსწავლეებთან სამხედრო-პატრიოტულ მუშაობასაც. ეს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია. საუცხოო მაგალითია სამხედრო-პატრიოტული თამაში „დაფინონი“, რომელიც მოზარდს მხედრულ ჩვევებსაც გამოუმუშავებს და სპორტსაც აყვარებს. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვაკითაროთ, დავხვეწოთ მუშაობის ასეთი ფორმები.

ჭეშმარიტად ამოუწურავია პიონერული ორგანიზაციების შესაძლებლობანი ჩვენი მოსწავლეების, მოზარდი თაობის ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში. აქ ფართო ასპარეზი გვესახება მუშაობის მრავალგვარი ფორმებისა და მეთოდების შესარჩევად, უდიდესი სამოქმედო სარბიელი გვეძლევა. ინტერნაციონალიზმი პიონერული მოძრაობის სისხლი და ხორცი, მისი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

ახალგაზრდობას ჩვენი საუკეთესო ტრადიციების მემკვიდრეს ვუწოდებთ. სწორედ ეს გახლავთ საბჭოთა ადამიანების სხვადასხვა თაობის მემკვიდრეობითობის უმაღლესი პრინციპი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა შეუქცევადი გაგვეხადა ჩვენი ისტორიული მონაპოვარნი, დიდებით შეგვემოსა მამა-პაპათა სახელი. და ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული პრინციპის ხორცშესხმაში გვეხმარებიან ისინი, ვინც საშუალო სკოლაში ეწევა ბავშვთა პოლიტიკურ აღზრდას— პიონერთა ხელმძღვანელები. დღეს რესპუბლიკის პიონერულ ორგანიზაციაში 500 ათასამდე მოსწავლეა გაერთიანებული. ეს ხომ ჩვენი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მეათედია!

პიონერხელმძღვანელს, ლ. ი. ბრეჟნევის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პიონერთა ამ კომისარს, პიონერის ყელსახვევიან ამ თავისებურ აღმზრდელს, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ჩვენს იდეოლოგიურ საქმიანობაში, იგი თავისი სკოლის, მთელი რესპუბლიკის პედაგოგიური კოლექტივის ღვიძილი წვერია. ამავე დროს მას თავისად თვლიან პიონერებიც. ეს არის განსაკუთრებული, საქმით გატაცებული და საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანი.

ჩვენ ბევრი გვყავს ასეთი აღმზრდელი. მათ აღსაზრდელთა ნაკადვილი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეს და დიდი ავტორიტეტი აქვთ პედაგოგიურ კოლექტივებში. ისინი არიან ჩვენს კრებაზეც. კაცმა რომ თქვას, კრების ყველა მონაწილე ასეთებად წარმოგვიდგება.

ღღეს რესპუბლიკაში დაახლოებით 4000 პიონერხელმძღვანელია, მათგან 2000-ზე მეტი სკოლებში მუშაობს.

სკოლის პიონერხელმძღვანელებს ჩვენ სოციალური ზრდის ფართო პერსპექტივები უნდა დავუსახოთ. ამხანაგებმა სწორად ილაპარაკეს ამაზე. აღზრდის ამ რგოლში შეძენილი მუშაობის გამოცდილება ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. რამდენი პიონერხელმძღვანელი დამდგარა შესანიშნავი პედაგოგი, ხელმძღვანელი, სკოლის კოლექტივის ნამდვილი ლიდერი, თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მუშაკი. საკმარისია დავასახელოთ ცოციალისტური შრომის გმირი, ჩვენი სახელმოხვეჭილი აღმზრდელი — პედაგოგი ნადეჟდა სამნოაშვილი, იგი აქ გვესწრება, სკოლის დირექტორი ლეონა ადამია და რესპუბლიკაში ცნობილი ასობით სხვა მასწავლებელი. სამწუხაროდ, ამ თანამდებობის, ამ პროფესიის პრესტიჟი უკანასკნელ ხანს, მე ვიტყოდი, გაპირვებით იზრდება. ეტყობა, არის საამისო ობიექტური მიზეზები. ახლა ვერ შემოგთავაზებთ მზამზარეულ კონკრეტულ რეცეპტებს. მაგრამ, დამეთანხმებით, პიონერხელმძღვანელთა პრესტიჟი უსათუოდ უნდა ავამაღლოთ. მოდით, ერთად მოვიფიქროთ, როგორ მივაღწიოთ ამას.

ხომ არის ჩვენში სხვადასხვა საპატიო წოდებანი, იქნებ ვიფიქროთ იმაზე, რომ ყველაზე თავგამოჩენილ პიონერულ მუშაკებსაც მივანიჭოთ შესაბამისი საპატიო წოდება.

მინდა მთლიანად დავუჭირო მხარი რესპუბლიკის განათლების მინისტრის ამხანაგ ო. დ. ქინქლაძის გამოსვლას. მან ძალზე ლამაზად, ჭკვიანურად ილაპარაკა. ხოლო იმისათვის, რომ უსათუოდ შესრულოს პირობა, კარგი იქნება, თუ თავის ნათქვამს განამტკიცებდა შესაბამისი ბრძანებით, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, პარტიულ გადაწყვეტილებას მივიღებთ ამის თაობაზე.

ალბათ, საჭიროა უფრო ყურადღებით და გულმოდგინედ გავაანალიზოთ პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლის მუშაობა, რათა მკვეთრად გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ახლა აქ კარგი კოლექტივი შეიქმნა, ბაზაც რიგიანი აქვთ. ასე რომ, მთავარი გაკეთდა, გადასაწყვეტი საკითხები, ეგონგ, დარჩენილა. ახლა საჭიროა გადაიდგას მომდევნო, ახალი ნაბიჯი ონერული კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის სრულფის ჯნით, და ამ საქმესაც ასევე სახელმწიფოებრივი მასშტაბ მივუდგეთ.

უნდა ვიზრუნოთ იმისთვისაც, რომ სისტემატურად იმაღლეგ კვალიფიკაციას სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაკ აცმა რომ თქვას, რესპუბლიკაში სკოლისგარეშე დაწესებულებ კადრების საგანგებოდ მომზადება არ ხორციელდებოდა, თუმც მუშაობას აქვს თავისი სპეციფიკა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ძ ზე საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი სკოლისგარეშე სებულებათა მასწავლებლების მომზადება-გადამზადების საკითხ

ჩვენ ამ სფეროში საკმაოდ გვყავს ადამიანები, რომლებიც ერ ლად ემსახურებიან ნორჩი თაობის აღზრდას. მაგალითად, ამ ყოფილი მოსწავლე, უნდა უმადლოდეს პროფესიის, ცხოვრების ა არჩევას ბავშვთა ისეთ შესანიშნავ აღმზრდელს, როგორიც ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი გიო ეპიტაშვილი. ყველანი ვიცნობთ მას, გვიყვარს და პატივს ვცე ეს არის შესანიშნავი აღმზრდელი, დიდი ენთუზიასტი, რომ აი უკვე რამდენიმე ათწლეულია ბავშვებს შემოქმედებითი მის, მეცნიერების და ტექნიკის სიყვარულს უნერგავს! მაგრამ ყოველთვის ვიჩენთ ჯეროვან ყურადღებას ასეთი აღმზრდელ მიმართ? განა ყოველთვის ვუჭერთ მათ მხარს? უნდა დავეხმ მთელ ამ სისტემას, და არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბ განმტკიცების მხრივ. ალბათ, გაცილებით მეტი სამეცნიერო-მეთ დიკური დახმარება უნდა გაუწიონ მათ რესპუბლიკის პედაგოგ რი პროფილის სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმაც. ჩვენ ვე ვესაუბრეთ ამხანაგ ო. დ. ქინქლაძეს იმაზე, რომ პედაგოგ ინსტიტუტში უნდა შეიქმნას განყოფილება, რომელიც, ალბათ ციალურად იმუშავებს პიონერული მუშაობის, პიონერულ ორ ნიზაციაში მოსწავლეთა აღზრდის, სკოლისგარეშე საბავშვო ბ სებულებათა ფუნქციონირების პრობლემებზე და ა. შ. სრული ფუძველი გვაქვს ვუსაყვედუროთ ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს, ისინი პრაქტიკულად გაურბიან ამ პრობლემათა დამუშავებას.

სრულფასოვანი მეთოდიკური რეკომენდაციების არარსებ მოსდევს ის, რომ პიონერებთან და ოქტომბრელებთან, კომკ რელებთან, უფროსკლასელებთან მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია, ნაგებო, ფორმალიზმი. ყოველთვის როდი ვცდილობთ ნამდვ აღვანთოთ ისინი ცოცხალი, საინტერესო საქმით. სხვათა შ ეს ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ იმისა, რომ ჩვენს რესპუბლ ჯერ კიდევ მაღალია ბავშვთა დამნაშავეობის დონე. ეს ძალზე ფ ბლემა. ბევრ ადამიანს, ამ ფაქტები, როცა სამართალდარღვ სჩადიან პიონერები და კომკავშირელები, სამწუხაროდ, ზოგიერ კომუნისტიც. ეს, რა თქმა უნდა, არსებითი ნაკლია. და სწო აღინიშნა აქ, კრებაზე, რომ პიონერული ორგანიზაციების საბჭო კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოები, სახალხო გ ლების ორგანოები, სკოლების პარტიული ორგანიზაციები ჯერ კ საკმაოდ გულმოდგინედ არ ეძებენ გზებს დამნაშავეობის აღკვ საქმეში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების რო ასამაღლებლად.

მოზარდს უნდა იტაცებდეს არა ეგრეთ წოდებული „ქუჩის“ მანტიკა, არამედ პიონერული საქმეების რომანტიკა, და არ ა ბობს არავითარი ობიექტური წანამძღვარი იმისა, რომ პირ ხდებოდეს. მართლაც, რა შეუძლია დაუპირისპიროს „ქუჩამ“ ნერულ მუშაობას? საჭიროა ოღონდ ჯეროვნად მიუდგნენ ისინი, ვინც პასუხს აგებს მისი შინაარსისათვის. ავიღოთ თემ თა მოძრაობა. ჩვენ ყველას გვახსოვს, ვიცით, რომ ყველაფერ თითქოს თამაშით დაიწყო, შემდეგ კი ეს თამაში საბჭოთა ბავ ბის ბევრი თაობისათვის პატრიოტიზმის სკოლად იქცა და ა საშობლოს მრავალი ღირსეული გმირიც აღუზარდა, აი ასეთი მაში, რომელშიც ერთმანეთს ორგანულად ერწყმის რომანტიკა ადამიანების, საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანის მს ფება, ძალზე გვჭირდება. იგი ჩვენს ადამიანებს უყალიბებს უ ღირსებას — ანაცვალონ თავიანთი ინტერესები საერთო საკ უანგაროდ ემსახურონ მშობელ ხალხს, მშობლიურ პარტიას, შობლოს.

პიონერული მუშაობა ყველა ჩვენგანს ეხება. იმიტომ, რომ უკავშირდება ისეთ საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-სახ საქმეს, როგორიც არის ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდა, მისი ღალი იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბება. და განსაკუთ ბული პასუხისმგებლობა, ხაზს ვუსვამ, განსაკუთრებული პასუ გებლობა იკისრება პედაგოგიურ კოლექტივებს, პირადად ჩვენი ს ლების დირექტორებსა და პარტიული ორგანიზაციების. მდივ რომლებიც დღენიადაგ თვალყურს უნდა ადევნებდნენ პიონერ ორგანიზაციის საქმიანობას, პასუხისმგებლობას გრძნობდნენ პ ნერული მუშაობის მდგომარეობისათვის.

მოგვონდეს სარგებლობა, სჭირდებოდე ადამიანებს — რა აუცილებელია გამოუმუშაო ბავშვს ეს თვისებები. ეს უაღრ საჭიროა. ჩვენ ადამიანი ხაზგადაგები, აღმშენებელი სახელგ ეარ და საქმეც ძალზე ბევრი გვაქვს, ამხანაგებო, აღსასრულებ საქმე ყველას გვეყოფა. აი, რატომ არის საჭირო, რომ ახალგაზ მოქალაქეებს გამოვუმუშაოთ მხედრული თუ შრომითი გმირ მუდმივი მზადყოფნა, ამას უნდა რაცხლდნენ მთავარ მოვალეობა ძირითად დანიშნულებად ჩვენი პიონერული მუშაკები, ერთგ პოლიტმებრძოლები, შესანიშნავი ადამიანები, რომლებსაც ჩვენ დობთ „ომუნიზმის ნათელ იდეალებს აზიარონ ჩვენი ახალგაზ თაობა.

ვ. ი. ლენინს პიონერული ორგანიზაცია მომავალ კომუნართ ზრდის საუკეთესო გზად მიაჩნდა. თქვენ, პიონერული მუშ სიმედგმ მეგზურები ხართ ამ ძნელ, მაგრამ სახელოვან გზაზე

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღ საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ყველ მუნისტს, ყველა ჩვენი მშრომელის სახელით მხურვალედ, სულ და გულით მოგახსენოთ მადლობა ყოველივე იმისთვის, რასაც ნი ახალგაზრდა ცვლის აღსაზრდელად აკეთებთ, გისურვოთ მ მატება იმ ძნელ შრომაში, რომელსაც მთელ ძალ-ღონესა და ენ გიას ახმართ. იხარეთ და იბედნიერეთ!

ინსტრუქტორი სოფლისაკენ მიიჩქარის

პარტიული კრება დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტებმა კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტს, პირადად მის მდივანს მკაცრი ბრალდებები წაუყენეს, გაკიცხეს იმისათვის, რომ რეგულარულად არ იმართებოდა პარტიული კომიტეტის სხდომები და კრებები, განსახილველი საკითხები მუდამ არ იყო აქტუალური და სათანადოდ შესწავლილი, პარტიული კომიტეტი ჯეროვნად ვერ რაზმავდა კომუნისტებს, უპარტიო მშრომელებს კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისთვის, შესუსტდა მომთხოვნელობა, რასაც მოჰყვა ის, რომ ბევრ კოლმეურნეს სავალდებულო მინიმუმიც არ გამოუმუშავებია, ბევრი კი გარე სამუშაოზე წავიდა თვითნებურად, და ა. შ.

დიახ, სალაპარაკო, განსასჯელი და საფიქრალ-საზრუნავი მართლაც საკმაოდ იყო. ამიტომაც გაგრძელდა კრება დიდხანს.

პარტიის ქობულეთის რაიკომის ინსტრუქტორი ასლან წულუკიძე ისმენდა სოფელ ხალას კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ამ კრების მონაწილეთა გამოსვლებს, მათს რეპლიკებს, ინიშნავდა და აანალიზებდა მათ. ასეთი არასახარბიელო სიტუაცია, ცხადია, კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში ერთბაშად არ შექმნილა. თუ შეიძლება ასე ითქვას, არც ამის ობიექტური პირობები იყო. ხალა რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, პლანტაციებიც ბარაქიანი აქვთ. კოლმეურნეთა დიდი უმეტესობა თავდადებით შრომობს, მაგრამ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, პარტიული კომიტეტი მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო. არადა, პარტიული კომიტეტი უყურადღებოდ ნამდვილად არ მიუტოვებიათ. თვითონ პირადად ბევრჯერ ყოფილა ამ სოფელში, გულდასმით გასცნობია პარტიული კომიტეტის მუშაობას, ბევრი საჭირო რჩევა-დარიგებაც მიუცია კომიტეტის წევრებისათვის ამ სოფელში, თანამშრომლებისა ამ სოფელში, ბევრ ადგილას, ბევრ ადგილას ... ...

სადღაა ბოსტნეები, ფურები?

ერთი სოფლის საკარმიდამოს ავ-კარგი

სოფელი სოფელს მაშინ ჰგავს, თუ ირგვლივ ტყეც აკრავს და მინდორიც. გზასა და წყალზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მშრომელ კაცს სოფელში თავისი პური, თავისი ღვინო, საკლავი თუ ფრინველი წლიდან წლამდე გაჰყოლია. რაც მოსჭარბებია, ქალაქში წაუღია, ფულად უქცევია, ქალაქში კი ის შეუძენია, სოფელს რომ არა ჰქონია...

ამ მხრივ, სიღნაღის რაიონის სოფლები, თავად ქალაქი სიღნაღი, თუნდაც სოფელი ნუკრიანი, რომელზეც ქვემოთ გვიქნება ლაპარაკი, გამონაკლისი არ ყოფილა.

რა მოხდა, რად გამრუდდა სასწორი? ნუკრიანელი კაცი პურით, რძე-მაწვნით და სხვა პროდუქტებით დატვირთული ქალაქის ქუჩებს რომ აუყვებოდა, შემახილებით დილაადრიან მუშტარს აღფიქრებდა; ახლა პირიქით, სარჩო-საწოვაგით დატვირთული ქალაქიდან სოფელში მიემართება. თუ რამ განზრახული ვერ შეიძინა, ბუტბუტით იკლავს იქაურობას. ვის უწყრება, ვის ამტყუნებს, ქალაქელებს განა?!

რა მოხდა? მოდი, პირდაპირ ეუბნასუხოთ ამ კითხვას: გავზარდაოდით, გავკაფნიერდით. ეზოები თუ საკარმიდამო ნაკვეთები, სადაც მწვანილი, კიტრი და პამიდორი მოგვყავდა, გავაყამრეთ, ოღელი ცხოვრების გზების ძებნა დაეწყოთ და ან ისიც: ავტომანქანები შევიძინეთ, ოთხი და ბარი გადავაგდეთ, ბოსტანი, მივატოვეთ, სარწყავი წყალი ხვეში შიშვეთ, განცხრომას მივეცით.

ის ტყე, ის მინდორი ისევ აკრავს სოფელ ნუკრიანს, წყალი და გზაც უკეთესია, მანქანა თუ ტრაქტორი გამართულია, მაგრამ საღლაა ცხრა ნახირი ძროხისა, ფარები ცხვრისა, უამრავი ქათამ-ინდაური, ცხვარი, ნამდაყრილი ბოსტნეული!

— ჩვენი სოფლის საკარმიდამოდან — გვითხრა ერთმა მოხუცმა, — ცხრა ნახირი გადიოდა სამეცარზე, როგორ იქნებოდა, რომ თორო ნახირში 200-300 ძროხა არ ყოფილიყო. სიღნაღში ძახილით „მაწონი!" „მაწონი" ხალხს თავს ვაბეზრებდით. ძლივს სალამური სახლში ვბრუნდებოდით, გაუყოდავი რძითა და მაწვნით კარაქს ვდღვებდით, არ ვაოხრებდით, ისიც ქალაქს მიგვქონდა გასაყიდლად.

— რამდენი ძროხაა ახლა სოფელში? — ვეკითხებით სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს კ. ნადირაშვილს?

— ათასზე მეტ კომლიან სოფელში ხუთასამდე თუ იქნება, — გვითხრა დარცხვენით და თან დაამატა: ახლა ეს საქმე სწორდება. კოლმეურნეობამ მოსახლეობას 50 ჰექტარი სათიბ-საძოვარი გამოუყო. მათვე ნება მივეცით გათიბონ სოფლის ირგვლივ ქარსაფარი ზოლები, გზისპირები, თუ ტყის პირები. გარდა ამისა, ზამთრისათვის კოლმეურნეებს თვითღირებულებაში ფასად მიეყიდება 30 ტონა თივა, 50 ტონა ნამჯა, 100 ტონა სილოსი და საკმაო რაოდენობის კომბინირებული საკვები.

რა თქმა უნდა, დასაწყისი კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. საუბრისას სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა კიდევ სხვა რამ გამოიმეტეს. ახლაღდა მესაქონლეებს, რომელთაც ჯერ პირუტყვის ზამთრის სადგომი არ აქვთ, გამოეყოფათ ბინა, მიეცემათ თივა, ნამჯა და სხვა საკვები.

ბევრმა იბრუნა პირი საქმისაკენ, წახალისდა, შეიძინეს ძროხები, მოზარდი პირუტყვი. ნაწილმა კი ხელშეკრულება გააფორმა კოლმეურნეობასთან, წნორის სახორაცე მეძროხეობის სასუქ კომბინატთან. პირობები ხელსაყრელია ორივე მხარისათვის. კოლმეურნე მოსავლელად აინაბრებს მოზარდეულს და მეურნეობას ჩაბარებს 150-200 კილოგრამი წონის საქონელს. ამისათვის მიიღებს პირუტყვის საკვებს, შრომის საზღაურს კი როგორც ფულად ისე ნატურით.

ასეთი ხელშეკრულებები გაფორმეს რ. კოპაწაშვილმა, მ. შალვაშვილმა, ვ. შარმიაშვილმა, უ. ბეჟაშვილმა, ი. მათეშვილმა, თ. ფირაშვილმა და სხვებმა.

იმათ კი, ვინც ძროხის შეძენა განიზრახა, გამოეყოთ სახელმწიფო კრედიტები, მაგალითად, ვ. ქუფარაშვილს, შ. ალიკოშვილს, გ. შაიშელაშვილს და სხვებს.

ამ ნაყოფს სოფელი უკვე იმკის. ხორცით, რძით, კვერცხითა თუ სხვა პროდუქტებით კოლმეურნეები არა მარტო უზრუნველყოფენ თავიანთ ოჯახებს, არამედ ყიდიან კიდეც. ამასთან, სოფელმა რვა თვეში გაანაღდა სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხის, მატყლის მიყიდვის ცხრა თვის დავალება.

კიდევ ერთი მისასალმებელი და მისაბაძი მაგალითი! პენსიაზე გასულმა ყოფილმა სოფლელებმა სახ-კარი ქალაქში შვილებს დაუტოვეს და სოფლისაკენ იბრუნეს პირი. აი ისინიც: ზ. შალვაშვილი, დ. მაზიაშვილი, ვ. ქუფარაშვილი და სხვები.

ეს, რაც საქონელს და მესაქონლეს შეეხებოდა. რა ვუყოთ გაყამრებულ ბოსტნეულსა და ეზოებს? მათ სინდისზე იყოს, ვინც მიწის დასამუშავებელი იარაღი გადაადგო, მიწის ყადრი, მიწის მადლი დაივიწყა და სხვას შეჰყურებს ხელში!

მომწიფდა აზრი, და ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის, — უფრო მეტი უნდა მოვთხოვოთ იმ კომლს, რომელიც სოფელში ცხოვრობს, სარგებლობს ყველა სიკეთით, რაც მთავარია მიწით, და აცდენს მას. იქნება განესაზღვროს, რომ სავარგული მიწის მიხედვით აუცილებლად ჰყავდეს არა ნაკლებ ამდენი და ამდენი სული ძროხა, ცხვარი, ღორი თუ ქათამი?

... და რაც მთავარია, აკვანშივე ჩავუნერგოთ, პრაქტიკული საქმიანობით მივაჩვიოთ ჩვენი მომავალი ცხოვრების ფილოსოფიას: თუ არ შექმენ, ვერ იარსებებს!

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის" საყ. კორ.

მაღალი ავტორიტეტი დაკარგა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცოცხალი ორგანიზმების ჯანსაღი უჯრედების თბური თვისებები მკვეთრად განსხვავდება დაავადებულთაგან.

კერძოდ, ექსპერიმენტატორებმა გამოიკვლიეს ცილებისა და ნუკლეინმჟავების (ყოველი ცოცხალი ქსოვილის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილების) ფიზიკური თვისებები. გამოირკვა, რომ ყოველი ბიოპოლიმერული სტრუქტურის თბური თვისებების ცვლილებადობაზე ზეგავლენას ახდენს წყალი. მისი მოლეკულები თავისებურ დამცველ ბადესავით გარს ერტყმიან დეზოქსირიბონუკლეინმჟავას მოლეკულებს, რომლებიც უპირველეს როლს ასრულებს ცოცხალი უჯრედის, მთელი ცხოველური სამყაროს მოქმედებაში. აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ იმ წყლის „ქსელი" ცვლილება, რომელსაც თაიცავს დეზოქსირიბონუკლეინმჟავას სტრუქტურა, გადამწყვეტად მოქმედებს მის ცხოველმოქმედებაზე.

საქართველოს ბიოფიზიკოსებმა მათ მიერ შექმნილი მიკროკალორიმეტრული ტექნიკის დახმარებით პრაქტიკული საჭიროებისათვის (სამედიცინო, დიაგნოსტიკისათვის) მიიღეს მეცნიერული ცნობები ზედაბალ ტემპერატურებში ცილებისა და ნუკლეინმჟავების ფიზიკური თვისებების შეცვლის ხასიათის შესახებ. ამ შედეგებში იგი განკუთვნილია სიბრძნე რაოდენობის გაზომვის საშუალებით ცოცხალ ორგანიზმებში ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესწავლისათვის.

ამ გამოკვლევის ამბავი თბილისში, ამ დღეებში დამთავრებულ ბიოკალორიმეტრიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს მოახსენა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მრეველიშვილმა, რომელმაც ეს სამუშაო შესრულა თავის მასწავლებელთან, თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან ე. ანდრონიკაშვილთან ერთად.

საბჭოთა კავშირის ბიოფიზიკოსებმა კოლეგებთან — ინგლისის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ჰავეიკარიის, იაპონიისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს თავიანთ ქვეყნებში დაგროვილი თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც ეხება კალორიმეტრიის მეთოდებით ბიოლოგიურ სისტემათა კვლევას, აგრეთვე კალორიმეტრიული ტექნიკის შემდგომი განვითარების საკითხები.

— ამ სიმპოზიუმზე განხილული იყო თანამედროვე მოლეკულური ბიოფიზიკისა და მაკრომოლეკულების — ცილებისა და ნუკლეინმჟავების — ფიზიკის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხები, — ინტერვიუში უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სიმპოზიუმის მუშაობის შეჯამებისას საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განვითარების სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკის დარგში მიღწეული შედეგები, თქვა მან, არ შეიძლება ჯეროვნად არ შეფასდეს. ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა ჩვენი ერთადერთი ალტერნატივაა, ვინაიდან ეს პოლიტიკა ნიშნავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის როლის შემდგომ გაძლიერებას ქვეყნის ცხოვრებაში.

მომხსენებელმა აღნიშნა იუგოსლავიაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის სირთულე. ბევრი ეკონომიკური პრობლემა, თქვა მან, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა აწყდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ წლებში. უწინარეს ყოვლისა — ეს არის ინფლაცია, დისპროპორციები ეკონომიკის სტრუქტურაში, საგარეოსავაჭრო და საგადამხდელო ბალანსების დეფიციტი. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა აღმოფხვრან შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე არანელსაყრელი განვითარების მიზეზები.

პლენუმმა დ. მარკოვიჩი და დ. ალიმპიჩი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩია.

კაირეს დესპანის ვოიაჟი

ვაშინგტონი. ეგვიპტის ვიცეპრეზიდენტი ჰ. მუბარაკი ვაშინგტონში ჩადის ოფიციალურ 4-დღიან ვიზიტად, რომლის დროსაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს, სახელმწიფო მდივანს ა. ჰეიგსა და თავდაცვის მინისტრს კ. უაინბერგერს, მოელაპარაკება „ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე და რეგიონის პრობლემებზე". ადგილობრივი პრესის მონაცემებით, კაიროს დესპანი ვაშინგტონს სთხოვს, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაუდიდოს სადათის რეჟიმს, რომლის მოღალატური, ანტიარაბული კურსი სულ უფრო მზარდ ოპოზიციას აწყდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თავის მხრივ, როგორც პრესა იუწყება, რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს გამოიყენოს ეს ვიზიტი იმისათვის, რომ კიდევ უფრო მოაქციოს ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთში თავისი საომარი სამზადისის ორბიტაში. ვაშინგტონში მუბარაქის ჩასვლის წინ პენტაგონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გააცნო გეგმები, რომ კაიროს მიაწოდოს „მ-60-აზ" მარკის 128 უახლესი ტანკი, აგრეთვე მათი სათადარიგო ნაწილები, ტყვია-წამალი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. ამ პროგრამის მიხედვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრა გაუწიოს სადათის მთავრობას 1,9 მილიარდი დოლარი საერთო ოდენობის სამხედრო და ეკონომიკური დახმარება.

საკდესისა და ახალი ამბების საკგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

სამხედრო-სამრეწველო ლაბირინთის ზურგზე

2 ოქტომბერი

მოსკოვს დაბრუნდა

2 ოქტომბერს მოსკოვს დაბრუნდა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის XXXVI სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბელგრადი. აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მორიგი XII კონგრესის მოიწვიოს 1982 წლის ივნისში ბელგრადში.

პლენუმმა განიხილა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანმა დ. ჩულაფიჩმა, რომელმაც ხაზგასმით იღნიშნა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის როლი ეკონომიკის განვითარების სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკის დარგში მიღწეული შედეგები, თქვა მან, არ შეიძლება ჯეროვნად არ შეფასდეს. ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა ჩვენი ერთადერთი ალტერნატივაა, ვინაიდან ეს პოლიტიკა ნიშნავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის როლის შემდგომ გაძლიერებას ქვეყნის ცხოვრებაში.

მომხსენებელმა აღნიშნა იუგოსლავიაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის სირთულე. ბევრი ეკონომიკური პრობლემა, თქვა მან, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა აწყდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ წლებში. უწინარეს ყოვლისა — ეს არის ინფლაცია, დისპროპორციები ეკონომიკის სტრუქტურაში, საგარეოსავაჭრო და საგადამხდელო ბალანსების დეფიციტი. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა აღმოფხვრან შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე არანელსაყრელი განვითარების მიზეზები.

პლენუმმა დ. მარკოვიჩი და დ. ალიმპიჩი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად აირჩია.

ვარშავა. დასასრულს უახლოვდება „სოლიდარობის" გდანსკის ყრილობის მეორე ტურის სხდომათა კვირა. როგორც ჩენსტოხოვის პროფგაერთიანების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბეესლანსკამ აღნიშნა, დელეგატები მთელი ამ დროის განმავლობაში განიხილავენ არა პროფკავშირულ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებს. მას სიტყვა არ გააგრძელებინეს იმ საბაბით, რომ „თემას გადაუხვია".

მართლაც, ყრილობაზე გამატონებულია სხვა თემა, მის გარშემო წარმოებს დისკუსიები და ბრძოლა — როგორ და როდის გავიდნენ ფინნეთის სწორზე ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, რამდენად რადიკალური უნდა იყოს პოლონეთში არსებული სოციალისტური წესწყობილებისა და მისი სამოკავშირეო ურთიერთობის მსხვრევა, რამდენად შეუძლია თავს ნება მისცეს „სოლიდარობამ" უკვე ახლა დაარღვიოს კონსტიტუცია, საკუთარი წესდება, ქვეყნის თავვრობასთან ამ გაერთიანების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებანი.

„ჩვენ რომ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ ღვარძლი არ გვაერთიანებდეს, — განაცხადა მაზოვშელმა ბუკოვსკიმ, — ჩვენი მოძრაობა რამდენიმე დარგობრივ პროფკავშირად და პოლიტიკურ პარტიად დაიშლებოდა". ორატორთა სიტყვები ძირითადად განსხვავდება დემაგოგიურობისა და ექსტრემიზმის დონით. ზოგიერთი, როგორც, მაგალითად, გერემეკი— პროფგაერთიანების პროგრამის თანაავტორი, მოითხოვს „ხელისუფლების სისტემის ფუნდამენტალურ ცვლილებას" „სოლიდარობის" ეგიდით, რომელმაც უნდა იმოქმედოს როგორც ორგვაროვანმა ორგანომ, ესე იგი შეასრულოს როგორც პროფკავშირული, ისე საზოგადოებრივი მოძრაობის როლი. მეორე „ავტორიტეტის", აქტიური კოსკორელის ლიპინსკის აზრით, ცნება „რეფორმა" უფრო მკაფიო უნდა იყოს. „ჩვენ სოციალისტებად არ მიგვაჩნია თავი, ჩვენ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მომხრენი ვართ", — განაცხადა მან.

ბევრი ორატორი მოითხოვდა, რომ მთავრობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენონ უფრო გაწყვეტული ხერხები, რათა თითოეული შეტაკება ხელსუფალთა მარცხით მთავრდებოდეს. ყრილობაზე გაისმოდა მოწოდებანი—განაცხადცელონ „წინასწარი ღონისძიებანი" იმ შემთხვევისათვის, თუ პოლონეთში „სოლიდარობის" დიქტატურა დამყარდა, მოემზადონ „სამხედრო წესების შემოღებისა და გარეშედან ინტერვენციისათვის", კონტრრევოლუციის დებოლებათა განხორციელებისათვის, თუ საჭირო იქნება — ძალითაც.

ამ კონტექსტით საყურადღებოა ის, რომ სიტყვა მისცეს ყრილობის „საპატო სტუმარს" ბორდტა-სპეხოვიჩს, „ბადაღებული ანტიკომუნისტური არმია კრაიოვას ყოფილ გენერალს. თავის სიტყვაში იგი „სოლიდარობას" აგიულანებდა იკისროს პასუხისმგებლობა „პოლონეთის აღორძინებისათვის", არაფერს არ შეუშინდეს. გენერალი მოითხოვდა, რომ „სოლიდარობამ" გადაიღოს არმია კრაიოვას ლოზუნგები და ისინი „პოლონეთი ხალხის ნამდვილ დროშად" აქციოს.

ყრილობაზე წამოაყენეს მოთხოვნა, რომ მოიწვიონ რაღაც საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ახლანდელ პროფგაერთიანებას დაუმკიდრებდა „უფლებას" განუყოფლად განსაზღვრაფეს ქვეყნის ბედს, იმის მიუხედავად, თუ რა შეიძლება მოხდეს, ამასთან კი უზრუნველყოფდეს, რომ პოლონეთში ნავთობი, ნედლეული და საქონელი შეუფერხებლად შემოჰქონდეთ მათს ახლანდელ მიმწოდებლებს, ესე იგი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. თუმცა, ეს არსით თავისებური და ფორმით თავხედური აღიარება იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საჭიროა პოლონეთისათვის ენერგომემცველი და სხვა საქონელი, რომლებიც სოციალისტური ქვეყნებიდან შემოდის, აშკარა ცდაა, რომ ყალბად წარმოადგინონ, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ეკონომიკური ურთიერთობა. საკმაოდ ცნობილი გვიჯადა მაგალითად, ლაჟბობდა, თითქოს საბჭოთა კავშირს მიჰქონდეს საექსპორტოდ გთვალისწინებული პოლონური ქვანახშირის მეტი ნაწილი, თუმცა პოლონეთი თვიდან თვემდე არ ასრულებს 1981 წლის იმ კონტრაქტის პირობებს, რომელიც პოლონეთის მხარის თხოვნით მნიშვნელოვნად შემცირდა შარშანდელთან შედარებით. კონკრეტულად, ამა წლის აგვისტოში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან ქვანახშირის მიწოდების მოცულობა 27 პროცენტით კი არ გაზრდილა, როგორც ამას ველოდა ამტკიცებდა, არამედ თითქმის 40 პროცენტით შემცირდა.

ფალსიფიკაციისა და სხვა უღირსი ხერხების საშუალებით ვეცდებოდა ის, რომ სიტყვა მისცეს ყრილობის „საპატო სტუმარს" ბორდტა-სპეხოვიჩს, „ბადაღებული ანტიკომუნისტური არმია კრაიოვას ყოფილ გენერალს. თავის სიტყვაში იგი „სოლიდარობას" აგიულანებდა იკისროს პასუხისმგებლობა „პოლონეთის აღორძინებისათვის", არაფერს არ შეუშინდეს. გენერალი მოითხოვდა, რომ „სოლიდარობამ" გადაიღოს არმია კრაიოვას ლოზუნგები და ისინი „პოლონეთი ხალხის ნამდვილ დროშად" აქციოს.

ვარშავა. გაზეთმა „ეროლნეჟ ვოლნოსტიმ" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მხილებულია „სოლიდარობის" ლიდერთა კურსი.

პროფგაერთიანებაში, წერს გაზეთი, ბევრია ისეთი, ვინც სახელმწიფო ხელისუფლებასა და პარტიაზე თავდასმების, არსებული წყობილებისადმი ხალხში სიძულვილის გაღვივების პოლიტიკასა და ორგანიზაციის გზას ადგას. მოგიერთი პროფკავშირული „აქტივისტი" აშკარად მოითხოვს ძმათამკვლევ ომს. ადგანან რა კურონის კონტრრევოლუციური ტაბების მიერ შემუშავებულ ტექტიკას, რომელსაც მხარს უჭერენ დასავლეთის ძირგამთხრელი ცენტრები, ისინი თავს ესხმიან სახელმწიფო ორგანოებს, გაფიცვების მუქარით ხელისუფალთ აიძულებენ დაიხიონ ზეგავლენის წინაშე და დაკმაყოფილონ „სოლიდარობის" მოთხოვნები. უკვე წელიწადნახევარია ასეთი ვითარებაა და მას ბოლო არ უჩანს.

გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ პროფგაერთიანების მოქმედებას ზუსტად ხელმძღვანელობს კოს-კორის ანტისოციალისტური ორგანოსაცია, რომლის წევრებს მთელი რიგი წლების მანძილზე ინახავს დასავლეთის სხვადასხვა სპეცსამსახური და ასწავლის სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს. ეს ადამიანები, ხაზგასმულია სტატიაში, ადგანან მთავარ პრინციპს: ებრძოლონ პარტიასა და სახალხო ხელისუფლებას, მტრულად მოეკიდონ სოციალიზმსა და პოლონეთის მიერ დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებს. მათი მოქმედების სტრატეგია ნათელია — დაამხონ სოციალისტური წყობილება პოლონეთში. ამ სტრატეგიის ზოგიერთი დებულების განხორციელება მათ უკვე მოახერხეს, კერძოდ, მოიპოვეს პოზიციები მუშათა კლასის ნაწილში.

მაინც რით უნდა აიხსნას, რომ ასეთი ადამიანები აღწევენ შრომითი კოლექტივების ნდობას, რომ ახერხებენ სხვადასხვა საპროტესტო აქციის მოწყობას, რომლებსაც, ზიანი მოაქვს თვით მუშათა ინტერესებისათვის? რატომ იწყებს მუშათა ნაწილი მაშინვე გაფიცვას, როცა, ვთქვათ, ვოეკოდა ან მინისტრი ვერ ასრულებს „სოლიდარობის" ერთ-ერთი წევრის ამა თუ იმ „მოთხოვნას"? როგორც ჩანს ამის მიზეზია სერიოზული ხარვეზები ადამიანთა შეგნებაში, საზოგადოების ჯგუფებად დანაწილება.

„სოლიდარობის" ექსტრემისტები ფართოდ მიმართავენ დემაგოგიურ ლოზუნგებს, რათა გააბრუონ ნაზოგადოებრივი აზრი. ისინი არ ერიდებიან მორალური და ფიზიკური ძალადობის მეთოდებს, პროფგაერთიანებაში თავისი დიქტატურის დამყარებას.

„სოლიდარობის" გარკვეული ჯგუფები შეგნებულად აფერხებენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კრიზისიდან პოლონეთის გამოყვანა და ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. სწორედ ასეთ ვითარებაში შეუძლიათ პოლიტიკურ ავანტიურათა ორგანიზატორებს შეასრულონ დასახული მიზანი — ხელთ იგდონ ძალაუფლება.

დადგა დრო, წერს დასასრულ გაზეთი, რათა პოლონელები გონს მოვიდნენ და მიხვდნენ, რომ აგვისტოს შეთანხმებანი კოსკორელ ვაჟბატონებსა და სოციალიზმის სხვა მოწინააღმდეგეებს სჭირდებოდათ მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით მუშათა კლასის გარეშე ნდობის მოსაპოვებლად. ეს დოკუმენტები საჭირო ჩყო იმისათვის რომ დაემორჩილებინათ მასები. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტია თანამიმდევრულად ასრულებს მუშათა კლასის ნებას, რომელიც იწონებს სოციალისტურ წყობილებას პოლონეთში. ამ პოლიტიკას საერთო არა აქვს რა კურონის, გვიაზდას, რულევსკის, მძიელევსკისა და მათ მსგავსთა მიზნებთან და განზრახვასთან. რა დროს ოლიანა ადამიანებთან, რომლებმაც აბუჩად აიგდეს სახალხო ხელისუფლება. მათ მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ.

„ანგიპამერიკული აფეთქება"

მელბურნი. შფოთიანი დღეები დაუდგა პოლიციას მელბურნში, სადაც თანამგზრობის წევრი ქვეყნების მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია მიმდინარეობს. კვირის დამდეგიდან უკვე რამდენიმე ათეული სიგნალი შემოვიდა სასტუმროში, პრესცენტრსა და სხვა იმ ადგილებში ჩადებული ბომბების შესახებ, სადაც კონფერენციის მონაწილენი დადიან ხოლმე.

მაგრამ ტერორისტთა ბომბებს საბედნიეროდ ჯერ თუ არ დაურღვევია კონფერენციის მუშაობა, ზოგიერთი დელეგატის გამოსვლებით გამოწვეულ ეფექტს მეთვალყურენი „ანტიამერიკულ აფეთქებას" უწოდებენ. „შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თანამგზრობის არც ერთ წინა შეხვედრაზე ისე არ გაუკრიტიკებიათ ვაშინგტონის პოლიტიკა, როგორც მელბურნში", — წერს „ოსტრელიან ფაინენშლ რევიუ".

სხდომების თავმჯდომარე, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მალკოლმ ფრეიზერი ძალიან ცდილობდა დაეშოშმინებინა ორატორები, რომლებიც აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ათობით სახელმწიფოს წარმომადგენლობენ, მაგრამ ისინი გმობენ შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მოქმედებას.

ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რ. მუგაბემ აღნიშნა, რომ ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაცია ყოველნაირად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს და ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოლიტიკა „უდიდეს შეშფოთებას იწვევს მთელ აფრიკაში". ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ გადაჭრით დაგმო მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში გამალებული შეიარაღება და „ცივი ომის" სულისკვეთების აღორძინება.

კონფერენციის მონაწილენი მწვავედ აკრიტიკებენ განვითარებადი ქვეყნების და განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების უთანასწორო ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელშიც, როგორც ფიჯის პრემიერ-მინისტრმა რატუ მარამ თქვა, „კაპიტალიზმის მტაცებლური კლანჭები იგრძნობა".

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ფრეიზერი ახლა თავგამოდებით ცდილობს როგორმე დააცხროს კრიტიკა, რომელიც კანბერას დაატეხეს თავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ მისი პოლიტიკის გამო. ამ მიზნით ყოველნაირად აერკვლევენ ხმებს, თითქოს ავსტრალია „არ ეთანხმებოდეს" აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების „ბაკერ კურსს". მაგრამ მეთვალყურენი სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ავსტრალიას „ურჩობისა" არაფერი ეტყობა, ვინაიდან მისი ხელისუფალნი კატეგორიულად ამბობენ უარს განაზორციელონ ეკონომიკური სანქციები რასისტების მიმართ, რასაც დაბეჯითებით მოითხოვენ აფრიკისა და სხვა კონტინენტების სახელმწიფოები.

პროვოკაციები საზღვარზე

ანომალები. ტაილანდის მხედრიონი არ წყვეტს შეიარაღებულ პროვოკაციებს კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე.

როგორც კამბუჩიის საინფორმაციო საგენტო იუწყება, მარტო 18-25 სექტემბერს ტაილანდის ავიაციამ ათჯერ დაარღვია კამბუჩიის საჰაერო სივრცე და დაბომბა კაჰკონგის პროვინცია. ამავე პერიოდში ტაილანდის არტილერიამ 67-ჯერ დაუშინა ცეცხლი ბატანბანგისა და სიემრეაპის პროვინციების ტერიტორიას. ტაილანდის ჯარების ქვეგანაყოფები არაერთხელ შეჭრილან კამბუჩიის ტერიტორიაზე, ხოლო სამხედრო ხომალდები — კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში.

ტრადიციული გამოფენა

მაპუტუ. მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში მოეწყო ტრადიციული საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ 21 ქვეყანა, აგრეთვე მთელი რიგი უცხოური სამრეწველო კომპანიები. თავიანთი პროდუქცია უჩვენეს აქ სოციალისტური თანამეგობრობის ხუთმა სახელმწიფომ. ესენი არიან: სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი. საბჭოთა კავშირი მესამედ მონაწილეობდა გამოფენაში. წელს საბჭოთა პროდუქცია უჩვენეს 12-მა საკავშირო გაერთიანებამ და ორგანიზაციამ, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობისა და კავშირგამხმულობის სამინისტროებმა. ექსპონატებს შორის არის ტრაქტორი „ბელარუსი", რომელიც კარგი გამოდგა მოზამბიკის ყანებში, მძლავრი „კიროველი-701", დიზელის ავტომობილი „ურალი" (სურათზე).

ლ. ივაშკევიჩის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● რომი

წარმატებით გრძელდება იტალიის კომპარტიის კამპანია პარტიული ბილეთების გამოცვლისა და იტალიის კომპარტიის რიგებში ახალი წევრების მიზიდვისათვის. იტალიის კომპარტიის სამდივნოს ცნობით 10 სექტემბრისათვის ბილეთები გამოცვალა 1.712.083 კაცმა.

● ქაბული

აღფრთოვანებით აღიქვეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოთა მუშებმა ქვეყნის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილება შრომითი შეჯიბრების შესახებ, რომელიც მოეწყობა ლოზუნგით „აპრილის რევოლუციის მე-4 წლისთავის შესახვედრად". ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს ავტოსარემონტო ქარხნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სტამბისა და ავღანეთის დედაქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა.

● ვაშინგტონი

პრეზიდენტმა რეიგანმა ხელი მოაწერა კანონპროექტს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობ

მწერლის სამშობლო სტუმრებს ელოდება

მარნეულის ქვემოთ რომ გადაუხვევთ და ვენახებს გასცდებით, გზა უძველეს ქართულ სოფელში — წერაქვში მიდის. ამ მშვენიერ სოფელში 100 წლის წინათ დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის მთელი შემოქმედება ნათელ კვალად გასდევს ჩვენს მდიდარ ლიტერატურას.

წერაქვი პატარა სოფელია. 63 კომლიანი ცხოვრობს. სწორედ აქაურები არიან ადამიანები და ბესტაგაშვილები, ფუფუნაშვილები და ბურნაძეები, მათ დიახაც რომ ეამაყებათ თავისი სოფლის სახელოვანი შვილი, ხოლო დღესდღეობით მთელი სოფელი დიდი მოლოდინით სუნთქავს: კვირას ამ სოფელში ზეიმით აღინიშნება მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის თავი.

საიუბილეო სამზადისი რახანია დაიწყო. ეს საქმე ერთობლივად აინტერესებს საქართველოს მწერალთა კავშირს, პარტიის მარნეულის რაიონულ კომიტეტს და მთელ ხალხს. მიხეილ ჯავახიშვილი ხომ ყველასათვის საყვარელი მწერალია. რაიონის მთელი აქტივი წერაქვშია და შრომობს. აქ ვნახეთ სწორედ საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. რ. მემარნიშვილი.

— იუბილესათვის გულმოდგინედ ვემზადებით, — გვითხრა მან. — მართალია, ახლა სოფლად ზღვა საქმეა მოძალებული, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც პიროვნება და შემოქმედი, იმსახურებს, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება და დრო დავუთმოთ. რაიონის მთელმა ინტერნაციონალურმა მოსახლეობამ გულთან მიიტანა ეს სამზადისი. დიდ ქართველსა და პატრიოტს მიხეილ ჯავახიშვილს ხომ ყველა ეროვნების ადამიანი უყვარდა. პიროვნებაში ყოველთვის ადამიანობას ეძებდა და აფასებდა.

რაღა თქმა უნდა, მარტო ჩვენი რაიონის ძალებით ვერას გავხდებოდით, — თქვა შემდეგ რ. მემარნიშვილმა. აი, ეს მშვენიერი მოსაფალებული 15-კილომეტრიანი გზა სოფელ წერაქვამდე უმოკლეს დროში გაიყვანა საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს იმ სამმართველომ, რომელსაც ჯ. მარშანია ხელმძღვანელობს. ზეიმის რადიოგადმოვანება მოამზადა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის კვანძმა. ახლაც აქ არის ამ კვანძის უფროსი ნ. ბეკეკრიშვილი.

საიუბილეო ზეიმს ურეუისორებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. წიფურია, ხოლო მხატვრულ გაფორმებაზე იმუშავა ცნობილმა მხატვარმა ო. ლითანიშვილმა.

წერაქვში შეიქმნა ლიტერატურული მუზეუმი, რომლის ექსპონატები მოგვითხრობს მ. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებითს მოღვაწეობაზე. ამ საქმეში კეთილი წვლილი შეიტანეს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულმა მუზეუმმა და მისმა დირექტორმა ი. ორჯონიკიძემ.

ექსპოზიცია სამუდამოდ დამშვენებს კლუბის ორ ოთახს. აქ წარმოდგენილია დიდი მწერლის ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემანი, ფოტო-ასლები, ნახატები, რომლებიც ლ. გუდიაშვილს, გ. გაბაშვილს, გ. ცომაიასა და სხვა ქართველ მხატვრებს სიცოცხლეში უჩუქებიათ მწერლისათვის.

—საერთოდ, დიდი ამაგი დაგვდეს ქართველმა მწერლებმა, განსაკუთრებით კი საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ, — გვითხრა საუბრის დასასრულს საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა.

თავად წერაქველები ხელებდაკაპიწებული მუშაობენ, სოფელს ალამაზებენ. მონაწილეობენ გზებისა და ტერასების კეთილმოწყობაში, შეაკეთეს სკოლა. კლუბი, მაღაზია.

— ორ კვირაზე მეტია აქა ვარ და ვმუშაობ. მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ დიდ სამზადისში. მიხეილ ჯავახიშვილი ხომ მამაჩემის მამიდაშვილი იყო. — გვეუბნება კ. ბურნაძე. — კარგად მახსოვს ის განათლებული კაცი, ჩვენთან ხშირად ამოდიოდა. ერთხელ წამომეწია და კისერზე შემისვა! შუატანის გამხდარი კაცი იყო; კიდევ რა ნიშნით დამამახსოვრდა? ერთობ გამართული ქართულით ლაპარაკობდა.

წერაქვში პატარა სკოლაა, ოთხკლასიანი. აქ მასწავლებლობს ერთი კარგი თბილისელი გია აბრამია, ახლა ჩექმები ჩაუცვამს და სხვებთან ერთად თავაუღებლივ მუშაობს.

...წერაქვში დიდი სამზადისია. სოფელი მიხეილ ჯავახიშვილის მრავალრიცხოვან სტუმრებს ელოდება.

საიუბილეო ზეიმი კვირა დილით მარნეულში დაიწყება, მერე კი მწერლის მშობლიურ სოფელში გადაინაცვლებს.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: წერაქვის სახოფლო კლუბის გარე ხედი, რომელშიც გაიხსნება მ. ჯავახიშვილის 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.
ჯ. ლომაძის ფოტო.

თუთაშხიას დიდი გზები

ᲐᲛ რამდენიმე ხნის წინათ ცენტრალურმა ტელევიზიამ „კინოპანორამაში“ კვლავ დიდი ადგილი დაუთმო მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაციას. კინოსურათს, რომელსაც „ნაპირების“ სახელწოდებით უჩვენებდნენ საკავშირო ცისფერ ეკრანზე, დიდი წარმატება ხვდა. ცენტრალური ტელევიზიის კინოგადაცემათა მთავარ რედაქციას ფილმის თაობაზე დღემდე მოსდის წერილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. სწერენ მოსწავლეები და პენსიონერები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტობა, ჯარისკაცები და ოფიცრები.

ცენტრალურ ტელევიზიაში დიდი სიამოვნებით გაგვაცნეს ეს წერილები. „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

„ჩვენ მოუთმენლად ველოდით ყოველი სერიის ჩვენებას. შინაური და ნვრილმანი საქმეები, აღარ გვაღელვებდა. თურმე ჩულაც არ არის საჭირო ზედმეტი სიტყვითი შეზავებული სასიყვარულო სცენები, გამოგონილი დრამატიზმი, საჭიროა მხოლოდ სიმართლე, ეშმარიტება და ის ხალხურობა, რომელიც ჩვენ ვიგრძენით ფილმის „ნაპირების“ ჩვენების დროს.

ვ. კონსტანტინი,
ქ. ბერდიანკის მეზღვაურთა ინტერკლუბის მთელი კოლექტივის სახელით კლუბის დირექტორი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ
ᲛᲝᲡᲙᲕᲝᲜᲗ ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ

„დიდება და პატივი ფილმის ავტორებს, ო. მელვინეფოუხუცესს კიდევ ბეგრჯერ შეგიქმნათ ასეთი ეპოპეა. საქართველოს ისტორია ხომ ულევი საგანძურია კინოხელოვნებისთვის“.

ა. ალისოვი,
ყოფილი სამხედრო მფრინავი.
ქ. ამბასადი.

„გულით გისურვებთ, რომ თქვენმა ფილმმა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო დაიმსახუროს“..

მ. გუსეინოვა,
ქ. ნოვოგრად-ვოლინსკი.

„მინდა ვიყო ახალი ლამაზი, კეთილი და უშიშარი, როგორიც შენ ხარ, ბიძია დათა, დედამ მითხრა, რომ ფილმის დასასრულს იღუპები; მე არ მჯერა, მინდა რომ იცოცხლო მარადჟამს! მინდა შენი ახლო მეგობარი გავხდე, დაგეხმარო ყველგან და ყოველთვის. მე მეორე კლასში ვსწავლობ“.

ლ. არაბაკინი,
ქ. გროდნო.

„თავისი მხატვრული დონით, შინაარსით და ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობით თქვენი სურათი მსოფლიოში რჩეულ ხატელევიზიო ფილმებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, დიდი ხანია ასეთი ფილმი არ მინახავს“...

ვ. ტოლსტოი,
ქ. მოსკოვი,

„ჩვენ ოთარ მეღვინეფოუხუცესთან ერთად გავიარეთ დათას მღელვარე ცხოვრება. ყველა ერს ჰყავს თავისი სახალხო გმირები. მშვენიერი და კეთილი დათა ყველა ხალხის გმირია. უკრაინაში არის პატარა სოფელი, სადაც მხოლოდ 70 კომლი ცხოვრობს. ეს ადამიანები ისეთივე მართალნი და პატიოსანნი არიან, როგორც ჩვენი დათა! დიდი მადლობა, ქართველო ძმებო!“

ლ. მიტგეული,
დნეპროპეტროვსკის ოლქი,
სოფელი ვასილკოვსკაია,

„ჩვენ, რუსებმა, თქვენს ფილმში ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი დავინახეთ. დიდება ერს, რომელსაც ასეთი შვილები ყავს. რატომ არ იღებო დღემდე დათას შორეული და დიდი წინაპრების გმირულ ოდისეას — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს?“.

რ. კრავეცი,
ქ. ლენინგრადი.

და ბოლოს მკითხველებს ვაცნობებთ იმასაც, რომ ქართული ფილმი უკვე შეისყიდა სირიამ, ტუნისმა, კუვეიტმა, იორდანიამ, მაროკომ, ალჟირმა; აგრეთვე სოციალისტურმა ქვეყნებმა: გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, კუბამ...

„ნაპირების“ შემოკლებული ვარიანტი აჩვენეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ავსტრიაში. სურათის შექმნის სურვილი გამოთქვეს შვეიცარამ და საფრანგეთმა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

თბილი, მზიანი დარი დგას აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე. წყლის ტემპერატურა 24 გრადუსს აღწევს. სასიამოვნო ამინდი, ალერსიანი ზღვა, შემოდგომის გამვირვალე ჰაერი — ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, „ხავერდოვანი სეზონია“.

სურათებზე: პანსიონატი „ჰორიზონტი“ — კუროორტ ქობულეთის ერთ-ერთი ჯანმრთელობის კერა; ზღვის სანაპიროზე მზის ჩასვლის წინ.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲒᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ III ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ-ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲕᲔᲜᲛᲐ მკითხველებმა კარგად იცით, რომ სეტყვამრის პირველ დეკადაში დიდი წარმატებით ჩაიარა მოსკოვის მესამე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობამ. მან მთლიანად გაამართლა თავისი ჰუმანური დანიშნულებაც და უკვე საყოველთაოდ ცნობილი დევიზიც „**წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში**“.

გამოფენა-ბაზრობის რთულ და საინტერესო მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 83 ქვეყნის 2300-ზე მეტი გამომცემლობა, ფირმა და საავტორო-იურიდიული საგენტო. აგრეთვე 12 მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის იუნესკო, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვები.

ძალზე დიდებული საერთაშორისო ურთიერთობის მიუხედავად გამოფენა-ბაზრობამ სასურველ, საქმიან, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, პირველ პლანზე იდგა ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემა, მსოფლიოს ხალხების კულტურულ ღირებულებათა გაცვლის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

ფართოდ და შთამბეჭდავად იყვნენ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები. ასობით სტენდზე თვალსაჩინოდ ჩანდა ის დიდი მიღწევები, რომლებიც ახასიათებს წიგნის გამოცემის სახელმწიფოებრივ საქმეს.

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობებმა უარი განაცხადეს გაერთიანებული სტენდების შექმნაზე, კაპიტალისტური ქვეყნების მონაწილეობა მაინც ფართო და თვალსაჩინო იყო.

გამოფენის მუშაობის დღეებში სსრ კავშირის გამსაჯმისა და სსრ კავშირის საავტორო უფლებათა საავტორმა მიერ ხელშოწერილ იქნა 2057 საექსპორტო-საიმპორტო კონტრაქტი საბჭოთა და უცხოელი ავტორების 3000-ზე მეტ ახალ, საუკეთესო ნაწარმოებზე. ძირითადი მიმართულებაც სწორედ ასეთი აღეთი. უფრო მეტად ბოლო წლებში გამოცემულ ნაწარმოებებს ექცეოდა ყურადღება. დადებული კონტრაქტების რიცხვმა 12 პროცენტით გადააჭარბა 1979 წლის გამოფენა-ბაზრობაზე დადებული ხელშეკრულებების რიცხვს. გადაჭარბება და ზრდა მოხდა ლიტერატურის ყველა სახეობაში, იგი ერთნაირი ძალით შეეხო როგორც მხატვრულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ლიტერატურას.

ამასთან ერთად მყარი საფუძველი ჩაეყარა მომავალ მუშაობას, დაიდო 3188 ხელშეკრულება ქართველი ავტორების საუკეთესო ნაწარმოებების გაცნობისა და გამოყენების მიზნით, რაც ითვალი სწინებს ნაწარმოებების მოთხოვნას გაცნობისა და მოწონების შემთხვევაში გამოყენებისათვის. ალბათ, შემდგომ ბაზრობაზე მუშაობა ძირითადად ამ ხელშეკრულებების ირგვლივ წარიმართება.

III გამოფენა-ბაზრობის ერთ-ერთი მკვეთრად დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ ძალზე გაიზარდა ყურადღება ეროვნული რესპუბლიკებისადმი და მკვეთრადვე ამაღლდა მათი როლი საერთო წარმატებაში. თუ 1979 წელს რესპუბლიკებში მოდიოდა მთელი კონტრაქტების 18-19 პროცენტი, ახლა ამ რიცხვმა 30 პროცენტს გადააჭარბა, ხოლო ქართველი ავტორების ნაწარმოებთა გაცნობისა და გამოყენების შესახებ დადებული შეთანხმებების 40 პროცენტი სწორედ რესპუბლიკებზე მოდის.

ძალზე დიდი იყო ყურადღება ჩვენი რესპუბლიკისადმი. საქართველოს სტენდს წუთითაც არ მოკლებია დამთვალიერებელი, მათ შორის ძალზე ბევრნი იყვნენ უცხოელები. ყველას მოსწონდა ჩვენი გამომცემლობების მიერ დიდი ბეგმენებით დასტამბული ბევრი წიგნი და ალბომი.

III საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს სსრ გამსაჯმისა და საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგენტოს ხელმძღვანელობა, მათ შორის გამომცემლები, ჟურნალისტები, მთარგმნელები. ოფიციალური დელეგაციის ასეთმა შემადგენლობამ და მათმა აქტიურმა მუშაობამ გარკვეულად განსაზღვრა მიღწეული წარმატება.

გამოფენა-ბაზრობის მუშაობის მანძილზე ჩვენ გავაფორმეთ 44 საექსპორტო-საიმპორტო ხელშეკრულება და 45 შეთანხმება ქართველი ავტორების 50 ნაწარმოების გაცნობისა და გამოყენების შესახებ. ეს შესანიშნავი მაჩვენებელია, თუ გავიხსენებთ, რომ 1979 წელს გვქონდა ორივე სახეობის 16 კონტრაქტი და 26 ხელშეკრულება ქართველი ავტორების ნაწარმოებთა გაცნობისა და გამოყენების შესახებ.

ახლა კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საერთოდ სსრ კავშირის წიგნების ექსპორტმა ძალზე გადააჭარბა იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში გამოვა.

ჩვენ მიერ გაფორმებული 44 კონტრაქტიდან 23 ითვალისწინებს ქართველი ავტორების ნაწარმოებთა გამოცემას საზღვარგარეთის ქვეყნებში, დანარჩენი კი უცხოელი ავტორების თხზულებების გამოცემას. 50 ნაწარმოებიდან 44 ქართველი ავტორის გაცნობა-გამოცემას ითვალისწინებს, 6 კი უცხოელი ავტორების გამოცემას ჩვენს რესპუბლიკაში.

ახლა კონკრეტულად შევეხებით ქართველი და უცხოელი ავტორების იმ ნაწარმოებებს, რომლებზეც გამოფენისა მუშაობის მანძილზე გაფორმდა კონტრაქტები და რომელთა დიდი ნაწილიც უახლოეს თვეებში გამოდის ან გამოვიდა კიდეც. (რასაკვირველია, ეს არ მოიცავს და ვერც მოიცავს ყველა იმ ქართველ ავტორს, რომელთა ნაწარმოებებიც გამოსაცემად მზადდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში).

ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს“ ერთდროულად გამოსცემს ჩეხოსლოვაკიის ორი გამომცემლობა „ლიდოვე ნაკლადატელსტვი“ და „სლოვენსკი სპისოვატელი“, მასვე ბეჭდავს ეკონომიური „რევიუ ეკონომიკა ლიტერატურა“. ნ. დუმბაძის „რჩეულ თხზულებებს“ „ინუკარაჰას“ საერთო სალიტერატურო ფონდი „ფოლკ ენდ ველტი“ გამოსაცემად ამზადებს ქართული საბჭოთა პროზის ანთოლოგიას, რომელშიც მათივე სურვილითა და ჩვენთან შეთანხმებით შეეტანენ ჩვენი ცნობილი მწერლები, როგორც უფროსი თაობა, ასევე ახალგაზრდობა.

ბევრ ქვეყანასთან გაფორმდა შეთანხმებები ქართველ ავტორთა ნაწარმოებების გაცნობისა და პოპულარიზაციის შემთხვევაში გამოცემის თაობაზე. აქ ქვეყნებისა და მწერლების მთელი წყებაა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგალითად, რომ ამ გამოფენა-ბაზრობაზეც ნათლად დადასტურდა, თუ რა დიდია დაინტერესება დღევანდელი ქართული ლიტერატურისადმი, სამეცნიერო შრომებისადმი.

დადებული კონტრაქტების სალანელი მწერლის, ავლანეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ასადულა ჰაბიბის მოთხრობებს.

ქმაყოფილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლებს უკვე იცნობენ სოციალისტურ ქვეყნებში. საუბრის დროს სლოვაკიის ლიტერატურული სააგენტოს გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ე. ობუხოვას შევეკითხე, ვინ არის თქვენი ყველაზე პოპულარული მწერალი-მეთქი და მიპასუხა — ნოდარ დუმბაძეო, თან დასძინა, ახლა ჩვენთან ყველა მაგისი „მარადისობის კანონით“ არის გატაცებულიო.

გვეკითხებოდნენ, რას წერს ახალს ჭაბუა ამირეჯიბი, რა შექმნა ნ. დუმბაძემ „ინკარაჰას“ შემდეგ, რას წერენ თამაზ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძეო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ შეთანხმება გააფორმა ოთარ ჭილაძის ახალ რომანზე „რკინის თეატრი“, რომელიც ჯერ წიგნადაც არ გამოსულა, ხოლო უნგრეთის საავტორო უფლებების სააგენტომ — გურამ ფანჯიკიძის მომავალ რომანზე „სიმონ-მეფე“,

ამ წარმატებებს წინ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა უძღოდა. საქართველოს გამსაჯომის მიზანსწრაფული მუშაობის შედეგად საქართველოს გამომცემლობებმა დაამზადეს შესანიშნავად გაფორმებული საინფორმაციო ფურცლები ხუთ ენაზე 76 წიგნის შესახებ. უცხოელ მკითხველს ასევე შეეძლო საინტერესო ინფორმაცია მიეღო ბუკლეტის „საქართველოს წიგნების“ საშუალებით, სადაც ორმოცამდე წიგნის ირგვლივ იყო საუბარი. ძალზე კარგი სარეკლამო მასალა წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ (დირექტორი — ვ. გამყრელიძე).

ეს საინფორმაციო მასალა ჩვენი ძალებითა და სსრ კავშირის საავტორო უფლებათა სააგენტოს საშუალებით გამოფენა-ბაზრობამდე ორი თვით ადრე დაგზავნეთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გავუგზავნეთ სსრ კავშირის საავტორო უფლებათა სააგენტოს წარმომადგენლებს ოსაფდე სახელმწიფოში, რითაც კარგი ნიადაგი მოვუმზადეთ ჩვენი ავტორების გაცნობისა და პრომაგანდის საქმეს.

საკავშირო თათბირზე საქართველოს გამსაჯომისა და ჩვენი მუშაობა გამოფენა-ბაზრობის დღეებში შეაქეს და დაგვასაბუქეს ხუთეულში რუსეთთან, უკრაინასთან, ბელორუსიასა და ყაზახეთთან ერთად.

ახლა მთავარია ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შევასრულოთ, გამოვცეთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნები.

ჩვენ უღირსად საპატიო და პასუხსაგებ საქმედ მიგვანია ის, რომ მიზანდასახული, სისტემატური, საქმიანი პროპაგანდა გავუწიოთ უმდიდრეს ტრადიციებს მქონე ქართულ ლიტერატურას, მეცნიერებას, ხელოვნებას.

ნ. ფერეთელი,
საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკური საგენტოს უფროსი.

მოგებით დაიწყო

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ მერანოში მსოფლიო ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა შავებით 44-ე სვლაზე გაიმარჯვა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის პირველ პარტიაში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲗ

1. c4 e6 2. ∆c3 d5 3. d4 je7 4. ∆f3 ∆f6 5. ⊥g5 h6 6. ⊥h4 0-0 7. e3 b6 8. ⊥c1 ⊥b7 9. je2 ∆bd7 10. cd ed 11. 0-0 c5 12. dc bc 13. ⊥e2 ⊥c8 14. ⊥fd1 ⊥b6 15. ⊥b1 ⊥fd8 16. ⊥c2 ⊥e6 17. ⊥g3 ∆h5 18. ⊥cd2 ∆:g3 19. hg ∆f6 20. ⊥c2 g6 21. ⊥a4 a6 22. ⊥d3 ∆g7 23. ⊥b1 ⊥b6 24. a3 d4 25. ∆e2 de 26. fe c4 27. ∆ed4 ⊥c7 28. ∆h4 ⊥e5 29. ∆gh1 ∆g8 30. ∆df3 ⊥:g3 31. ⊥:d8+ ⊥:d8 32. ⊥b4 je4 33. ⊥:e4 ∆:e4 34. jd4 ∆f2+ 35. ∆g1 ∆d3 36. ⊥b7 ⊥b8 37. ⊥d7 ⊥c7 38. ∆gh1 ⊥:b2 39. ⊥:d3 cd 40. ⊥:d3 ⊥d6 41. ⊥e4 ⊥d1+ 42. ∆g1 ⊥d6 43. ∆hf3 ⊥b5 და თეთრები დანებდნენ.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ...

ᲒᲣᲨᲘᲜ რიგაში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტური. საწყის ეტაპზე 6-6 გუნდმა შესაბამისად კაუნასსა და თბილისში იასპარეზა. ამ ეტაპზე კოლექტივებმა 5-5 შეხვედრა გამართეს და მათ შორის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (10) მხოლოდ მინსკის არმიელთა გუნდმა დააგროვა. დანარჩენთა აქტივი კი ასეთი იყო: რიგის „ელექტნიეკსი“ — 7 ქულა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, მოსკოვის „აუნეცევო“ და კიევის ასკ — 6-6, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი, ჩელიაბინსკის „პოლიტი“ და კაუნასის „გრანიტასი“ — 4-4, ცსკა — 3 ქულა. ქალაქ ტირასპოლის გუნდს ქულაც არ მოუპოვებია.

და აი, ახლა თორმეტივე გუნდი ერთად შეიკრიბა. გუშინდელი მატჩებიდან ჯერჯერობით გთავაზობთ ერთი შეხვედრის შედეგს: კაუნასის „გრანიტასმა“ დამარცხა ტირასპოლის გუნდი ანგარიშით 36:29 (20:16) და 6 ქულა დაუგროვდა.

ᲛᲔᲠᲕᲔ პარტიას მძაფრი ხასიათი ჰქონდა. ალექსანდრია, გასაგებია, ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას. მსოფლიო ჩემპიონმა, რომელმაც, ცხადია, იცოდა მეტოქის განწყობილება, კიდევ ერთხელ თქვა უარი თავის საყვარელ ძველინდურ დაცვაზე, რაც, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავდა, რომ შავები „არ წვავდნენ „უკან დასახვე ხიდს“. ბრძოლა ბრძოლაა, მაგრამ აქ სიმაძაფრეს კეთილგონიერებაც უნდა შეუხამო.

თანამედროვე სადებიუტო ტაქტიკას ერთი თავისებურება ახასიათებს. ხშირად ერთი დებიუტი მეორეში გადადის და დასაწყისისათვის სახელის მონახვაც კი ძნელდება. ასე, მაგალითად, პირველივე სვლით ჩიბურდანიძემ მეტოქეს აგრძნობინა, რომ თანახმა იყო ჰოლანდიური დაცვაც ეთამაშა და ფრანგულიც. საინტერესოა, რომ ეს დებიუტები აქამდე არაასოდეს შეგვხვედრია მსოფლიო ჩემპიონის პრაქტიკაში და, როგორც ჩანს, მატჩისწინა მზადების დროს დაამუშავა.

ორიოდე სვლის შემდეგ დაფაზე წარმოიქმნა პოზიცია ახალინდურ დაცვის ერთ-ერთი ვარიანტიდან, რომელიც ხშირად გვხვდება უკანასკნელ ხანს სატურნირო პრაქტიკაში. ამ გაგრძელებას მანევრული თამაშისკენ მივყავართ, რომელიც ორმხრივი შესაძლებლობებით არის სავსე.

მეთორმეტე სვლაზე თეთრებმა კარგად ცნობილი მანევრი განახორციელეს მეტოქის თეთრუჯროვანი კუნ გაცვლით, რომელიც ამ ვარიანტში ფრიად აქტიურია. ამის შემდეგ ალექსანდრია შეეცადა ხელი ეგდო ინიციატივა ლაზიერის ფრთაზე. ამ მიზანს ემსახურებოდა ბრძოლის ამ უბანზე მხეიერის გადაყვანა, სადაც ჩემპიონის სუსტი პაიკები ფრთხილ დაცვას მოითხოვდნენ. დაცვა ჩიბურდანიძემ მარჯვედ წარმართა.

რახან შუა თამაშში რაიმე გარკვეული უპირატესობა ვერ მიიღო, პრეტენდენტი შეეცადა პოზიციის გამარტივებას და აქცენტი ენდშპილზე გადაიტანა. ეს სავსებით მართებული (გადაწყვეტილება იყო თუნდაც იმიტომ, რომ დაბოლოებაში შეიძლებოდა მეტოქის სუსტი პუნქტების გამოყენება, თუკი, რა თქმა უნდა, შავები იძულებული გახდებოდნენ გაეცვალათ თავიანთი აქტიური ფიგურები.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ თეთრებს ერთვვარი პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ჩიბურდანიძე ზუსტად თამაშობდა. მხეიერების გაცვლის შემდეგ მან დროებით პაიკიც მოიგო, ოღონდ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. შემდგომ ბრძოლა ალექსანდრიას ცაიენრეტი წააგებინა. მან პაიკი დაიბრუნა. ამ რამ ამასობაში შავი იტალიელ პრეტენდენტის ბანლაგებში იჭრა. სვლების განმეორების მდგომ მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის პირველი ხეკვარი დამთავრდა. ანგარიში 4,5:3,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. ახლა მონაწილეებს მცირე შესვენება აქვთ, რის შემდეგ ბრძოლა თბილისში განახლდება. მეცხრე პარტია, რომელშიც მსმენი თეთრებით ითამაშა, სამშაბათისთვის, 6 ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ — ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

ახალინდური დაცვა

1. d4 e6 2. ∆f3 ∆f6 3. ⊥b4+ 4. jd2 c5 5. j:b4 cb 6. g3 b6 7. ⊥g2 ⊥b7 8. 0-0 0-0 9. ∆bd2 d6 10. ⊥b3 a5 11. ⊥e7 12. a3 ∆a6 13. ∆e1 j:g2 14. ∆f3:g2 e5 15. ∆c2 ⊥b7+ 16. ∆gg1 ed 17. ab ab 18. ⊥fe8 19. ⊥f3 ⊥:f3 20. ∆2:f3 21. ∆d2 g6 22. ∆gf1 ∆fe4 23. ∆:e4 ∆:e4 24. e3 ∆d2+ 25. ∆g:a1 26. j:a1 ∆:c4 27. b3 ∆e5 28. ⊥a4 jc8 29. h3 jc1 30. ⊥f4 31. j:b4 h5 32. jc4 jh1 33. ⊥h4 34. ∆gg2 je1 35. ∆gf2 36. ∆gg2 je1 37. ∆gf2 jh1.

ყაიმი სვლების განმეორებაზე.

გ. გამრეკელი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ უკვე იცის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეთექვსმეტეფინალური ექვსი მატჩის შედეგები. დაბარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: იუგოსლავიის „ვეელეი“-ლუქსემბურგის „ეიოხესი“ — 6:1 (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1). იტალიის „რომა“-ჩრდილოეთ ირლანდიის „ბალიმენა“ — 4:0 (2:0), ბულგარეთის „თრაკია“-ესპანეთის „ბარსელონა“ — 1:0 (1:4), ირლანდიის „დანდოლკი“-ინლანდიის „ფრამი“ —4:0 (2:0), საფრანგეთის „ბასტია“-ფინეთის „კოტკა“ — 5:0 (0:0), შვეიცარიის „კალმარი“-შვეიცარიის „ლოზანა“ — 3:2 (1:2), უნგრეთის „ვაშაში“-კვიპროს ი ს „უნიონი“ — 8:0 (0:1), პოლონეთის „ლეგია“-ნორვეგიის „ვალერენგენი“ — 4:1 (2:2), პორტუგალიის „პორტო“-დანიის „ვაიდლ“ — 3:0 (1:2), ბელგიის „სტანდარდი“-მალტის „ფლორიანა“—(3:1) განმეორებითი მატჩი უნდა გამართულიყო 1 ოქტომბერს. **ამრიგად, თბილისის „დინამოსთან“, დონის როსტოვის არმიელთა გუნდთან, ინგლისის